თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

სოსო დვალიშვილი

თემა: საერთაშორისო ორგანიზაციების როლი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში

,,წარმოდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად”,

თბილისი 2021

საიდენტიფიკაციო ნომერი:

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

ავტორის ხელმოწერა:

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა

ჩვენ ქვემორე ხელმომწერნი ვადასტურებთ რომ გავეცანით სოსო დვალიშვილის მიერ შესრულებულ ნაშრომს „საერთაშორისო ორგანიზაციების როლი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში“ და ვაძლევთ რეკომენდაციას განხილულ იქნას თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის საგამოცდო კომისიის მიერ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

დაცვის თარიღი:

ხარისხის მართვისა და სტრატეგიული
განვითარების სამსახურის უფროსი _____

რეცენზენტი: _____

შინაარსი

რეზიუმე (ქართულ ენაზე) .....3 გვ

Resume (ინგლისურ ენაზე) 5გვ

შესავალი .....8 გვ

თავი 1. საერთაშორისო ორგანიზაციების კლასიფიკაცია .....11 გვ

1.1. უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციები 15გვ

1.2. რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციები 20გვ

თავი 2. საერთაშორისო ორგანიზაციების როლი კონფლიქტების დარეგულირების საქმეში

2.1. ნატოს სამშვიდობო მისიები ავღანეთში, კოსოვოში, ერაყში .....26 გვ

2.2. გაეროს სამშვიდობო მისიები ..... 32 გვ

2.3. ევროკავშირის ჩართულობა კონფლიქტების პრევენციაში ..... 37 გვ

თავი 3. საერთაშორისო ორგანიზაციების რესურსები და როლი სამშვიდობო მოლაპარაკების პროცესში .....43 გვ

დასკვნა 51გვ

გამოყენებული ლიტერატურა .....53 გვ

რეზიუმე

საერთაშორისო უსაფრთხოება, მშვიდობის დაცვა, შეთანხმების მიღწევა, ის შესაძლებლობები რაც საერთაშორისო ორგანიზაციებს გააჩნიათ, ყველაზე აქტუალური და საკამათო თემაა. ნაშრომში განხილულია საერთაშორისო ორგანიზაციების მნიშვნელობა და როლი თანამდროვე საერთაშორისო ურთერთობებში და მოიცავს სადიპლომო თემასთან დაკავშირებულ საკითხებს.

თემაში საერთაშორისო ორგანიზაციებში იგულისხმება კონკრეტულად, ნატო, გაერო და ევროკავშირი. თემის მიზანია გამოავლინონ ამ ორგანიზაციების ქმედების შედეგები სამშვიდობო მისიებსა და საერთოდ მშვიდობის დამყარებაში.ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ, ქვეყნებს შორის ურთერთობის დარეგულირება, დახმარების გაწევა, ეს ყოველივე და კიდევ ბევრი სხვა რამ სერიოზულ გამოწვევასთან გამკლავებაა, ამ დიდი ორგანიზაციების გარეშე ამ პრობლემასთან შეჭიდება არ იქნებოდა დადებითი შედეგის მომცემი. დოკუმენტების ანალიზისა და აღწერის საშუალებით ვლინდება ნატოს როლი ავღანეთში, ასევე გაეროს მონაწილება სამშვიდობო მისიებში, ეს ორგანიზაციები ეფექტურია რადგან ძლიერი ქვეყნების სურვილითაა შექმნილი.დანარჩენი წევრი ქვეყნები კი თვითონ ცდილობენ რომ თავი გადაირჩინონ, რადგან შემდეგ თავადაც ქონდეთ დიდი სახელმწიფოების დახმარების იმედი.

საერთაშორისო ორგანიზაციის ხასიათისა და კლასიფიკაციის შესწავლა, მათი მნიშვნელობის გაგება მნიშვნელოვანია არა მარტო მსოფლიოს წამყვანი ქვეყნებისათვის არამედ ისეთი პატარა ქვეყნებისთვისაც, როგორიცაა საქართველო. პატარა ქვეყნებისათვის საერთაშორისო ორგანიზაციები სასიცოცხლო მნიშვნელობისაა.

საერთაშორისო ორგანიზაციების შესახებ ცოდნა აუცილებელია რამოდენიმე მიზეზის გამო: პირველი ისინი მოწოდებულნი არიან იზრუნონ ერებსა შორის მშვიდობისა და სტაბილურობი განვითარების უზრუნველყოფისთვის; მეორე ისინი ფლობენ ღირებულ ინფორმაციას რაც ქვეყნებს შორის ურთიერთობისთვის არის უპირველესი.

რატომ არის საჭირო საერთაშორისო ორგანიზაციების შესწავლა თანამედროვე პირობებში?! პასუხი არის ცალსახა, საერთო ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ეკომონიკური, პოლიტიკური, სამხედრო, კულტურული და ა.შ საერთო მიზნების განითარებისა და მიზნის მიღწევის მიზნით, საერთაშორისო ორგანიზაციები ხომ სახელმწიფოებს შორის მრავალმხრივი თანამშრომლობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფორმაა.

ნაშრომი შეძლებისდაგვარად იყენებს იმ მეცნიერთა განსაკუთრებით საყურადღებო შეხედულებებს, რომლებიც მეტნაკლებად ეხებიან თანამედროვე მსოფლიოს აზროვნებაში საერთაშორისო ორგანიზაცების არსებობის თეორიულ საკითხებს, ამავე დროს, გამოთქმულია ჩემი აზრი ამ შეხედულებებთან დაკავშირებით.

წინამდებარე ნაშრომი შედგება სატიტულო გვერდის, საავტორო უფლებების გვერდის, რეზიუმეს ორ ენაზე (ქართული - ინგლისური), შინაარსის, ძირითადი ტექსტის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურისაგან. საგანგებო ყურადღება

ეთმობა ისეთ საკითხებს, რომელთა აქტუალურობა დიდია მთლიანად მსოფლიოს წინაშე.

შესავალში განხილულია თემის აქტიურობა, კვლევის მიზანი და ამოცანები, კვლევის თეორიული საფუძველი, კვლევის ობიექტი და საგანი, თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

ძირითადი ტექსტი შედგება სამი თავის და 5 ქვეთავისგან. ნაშრომის პირველი თავი ეძღვნება ორგანიზაციების კლასიფიკაციასა და მათ უშუალო მიზნებსა და ამოცანებს. მეორე თავში საუბარია საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობაზე საერთაშორისო მისიებში, დეტალურადაა განხილული ამ მისიების მიმდინარეობა და აუცილებლობა, ყველა მისიის შედეგები. მესამე თავი ეძღვნება საერთაშორისო ორგანიზაციების რესურსებს და მათ როლს სამშვიდობო მოლაპარაკების პროცესში, კონფლიქტების დარეგულირების საქმეში და ამ მიზნით გაწეულ საქმიანობაზე.

მართალია, შინაარსობრივი თვალსაზრისით თავები ქვეთავებად არის დაყოფილი, მაგრამ მთელ რიგ შემთხვევაში საერთო აზრი მაინც მდგომარეს იმაში, თუ რამდენად დიდი როლი აქვთ საერთაშორისო ორგანიზაციების მნიშვნელობას თანამედროვე მსოფლიოში, რადგან თითოეულ ქვეთავში არის მათი მონაწილების შედეგად მიღებული შედეგი. რესურსები რომლებიც მათ გააჩნიათ არის ძალიან დიდი მთავარია მიმათულების სწორი მიცემა. სამშვიდობო მოლაპარაკებების წარმოება და ძალა, რომელიც კონფლიქტს დაარეგულირებს არის უმნიშვნელოვანესი მსოფლიო წესრიგის დასამყარებლად.

დასკვნაში შეჯამებულია ჩატარებული სამუშაო, საკითხის მკვლევართა მოსაზრებები და ის შედეგები რაც საერთაშორისო ორგანიზაციების მისიებმა დადეს მშვიდობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

ნაშრომის ბოლოს დართულია გამოყენებული ლიტერატურა.

SUMMARY

International security, peacekeeping, reaching an agreement, the capabilities of international organizations are the most topical and controversial topics. The paper discusses the importance and role of international organizations in contemporary international relations and covers issues related to the diploma topic. The topic of international organizations is specifically NATO, UN and the EU. The aim of the topic is to show the results of the actions of these organizations in peacekeeping missions and peace in general. Without large organizations, tackling these problems would not have yielded positive results. The analysis and description of the documents reveals NATO's role in Afghanistan, as well as the UN's involvement in peacekeeping missions. These organizations are effective because they are created by the will of powerful countries.

Studying the nature and classification of international organizations, understanding their importance for any country is important not only for the world's

leading countries but also for such small countries as Georgia. International organizations are vital for small countries.

Knowledge of international organizations is necessary for several reasons: first, they are committed to ensuring the development of peace and stability between nations; second, they have valuable information that is paramount to relations between countries.

Why is it necessary to study international organizations in modern conditions ?! The answer is unequivocal, in order to develop common goals and achieve common goals in various spheres of common life: economic, political, military, cultural, etc. After all, international organizations are one of the most important forms of multilateral cooperation between states.

The paper uses as much as possible the particularly attentive views of scholars who are more or less concerned with the theoretical issues of the existence of international organizations in the thinking of the modern world, at the same time expressing my opinion on these views.

This paper consists of a title page, a copyright page, a summary in two languages (Georgian - English), content, main text, conclusion and used literature.

Special attention is paid to issues that are of great urgency to the world as a whole. The introduction discusses the activity of the topic, the purpose and objectives of the research, the theoretical basis of the research, the object and subject of the research, the theoretical and practical significance.

The main text consists of three chapters and 5 subsections. The first chapter of the paper is devoted to the classification of organizations and their immediate goals and objectives. The second chapter discusses the involvement of international organizations in international missions, discusses in detail the course and necessity of these missions, the

results of all missions. The third chapter is dedicated to the resources of international organizations and their role in the peace negotiation process, conflict resolution and activities for this purpose.

It is true that in terms of content the chapters are divided into subsections, but in a number of cases the general opinion still lies in how important the role of international relations is in the modern world, because each subsection is the result of their participation. Result.The resources they have are very large the main thing is to give the right direction.The conduct of peace talks and the force that will resolve the conflict is crucial to establishing world order.

The report summarizes the work done, the views of researchers on the issue and the results of the missions of international organizations in terms of ensuring peace.

References are attached at the end of the paper.

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა საერთაშორისო ორგანიზაციების გაზრდა თანამედროვე ურთიერთობებში, რადგან მათი როლი დღითიდღე იზრდება მშვიდობისა დაცვისა და თავდაცვის სფეროში, ჩემი მიზანია დაგანახოთ მათი აუცილებლობის მნიშვნელობა, მიუხედვად იმისა, რომ დღეს როგორც მოგეხსენებათ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ამ საკითხთან დაკავშირებით , საზოგადოების აზრი არის ორ ნაწილად გაყოფილი, ერთნი თვლიან ,რომ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმოქმნა და მათი წევრობა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ განვითარებას. მეორე კატეგორია კი ფიქრობს, რომ საერთაშორისო

ორგანიზაციებთან ურთიერთობა თითქოს ზღუდავს მათ უფლებებს. მე ჩემს ნაშრომში ორივე კატეგორიას დავახასიათებ.

საერთაშორისო ორგანიზაციები წარმოადგენენ საერთაშორისო ცხოვრების ყველაზე განვითარებულ და მოწესრიგებულ მექანიზმს, თანამედროვე მსოფლიოში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია საერთაშორისო ორგანიზაციათა რაოდენობა და აქტიურობის მკვეთრი ზრდა, ეს არის ორგანიზაცია, რომელსაც ბუნებრივია გააჩნია თავისი დადგენილი წესები.

აგრეთვე, მსურს მიმოვიხილო ორგანიზაციების კრიტიკოსების მოსაზრებაც. რომლებიც არ თვლიან მათ როლს მნიშვნელოვნად, მათ მოქმედებას კი მშვიდობიანად და ეფექტურად. გაეროს სამშვიდობო ოპერაციებში მუდმივად ახალ-ახალი ტალღებია, ისინი ყოველთვის წარმატებით არ სრულდება, მაგალითად 1960-იანების მისია კონგოში, ასევე ცივი ომის შემდეგ სომალიში რუანდასა და ბოსნიაში არასასურველი შედეგით დასრულდა.

საერთაშორისო არენაზე არანაკლებ როლს ასრულებს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი ჩრდილო-ატლანტიკური ხელშკრულების ორგანიზაცია - NATO ,რომელიც თავის ისტორიაში არაერთ წარმატებულ ოპერაციას და მისიას მოიცავს.

რას ვგულისხმობ საერთაშორისო ორგანიზაციების ცნებაში? იგი ეროვნული სახელმწიფოების სამთავრობოთაშორისო და არასამთავრო-ბოთაშორისო საზოგადოების, ფიზიკური და იურიდიული პირების გაერთანებაა, რომლის საქმიანობას საფუძვლად უდევს წესდება, სწორედ ეს წესდება განსაზღვრავს საერთაშორისო ორგანოების საქმიანობის წესს.

საერთაშორისო ორგანიზაციების ცნება მომდინარეობს მე-20 საუკუნის პირველი ნახევრიდან, მაგრამ იყო შორეულ წარსულშიც ცდები მსგავსი ორგანიზაციების ჩამოყალიბების, რომელიც უშუალოდ მიზანმიმართული იქნებოდა მშვიდობის დაცვისათვის.

თანამედროვე მსოფლიოში საერთაშორისო განვითარების ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია საერთაშორისო ორგანიზაციები,1998 წლისთვის არსებობდა 6000 საერთაშორისო ორგანიზაცია, მათი რიცხვი უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე ორჯერ გაიზარდა.

თემის აქტუალობა. ზოგადად საერთაშორისო ორგანიზაციები არის როგორც ვიცით, მთავრობათაშორისო ან არასამთავრობო სახიათის მუდმივი გაერთიანება, რომელიც იქმნება საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე. საერთაშორისო ორგანიზაციების განუყოფელი ნაწილია უსაფრთხოება, მე არაერთხელ გავამახვილე ყურადღებაა ჩემს ნაშრომში კონფლიქტურ და პოსტკომფლიქტურ რეგიონებში უსაფრთხოების რეფორმების გატარებაზე საერთაშორიშორისო ორგანიზაციების მიერ.

თემის აქტუალობა სწორედ ზემოხსენებულიდან გამომდინარეობს. დღეისათვის საერთაშორისო ორგანიზაციებზე ბევრი კომენტარი კეთდება. მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს ადგილი თანამედროვე საზოგადოებაში. და მითუმეტეს ისეთი სახელმწიფოებში, რომლებიც ჩვენი სახელმწიფოს მსგავსად პატარები და განვითარებადები არიან. ასევე აქტუალობას მატებს ის საკითხიც, რომ საქართველო მიილტვის ნატოსა და ევროკავშირის ურთიერთობისა და გაწევრიანებისაკენ.

პრობლემის სამეცნიერო დამუშავების დონე. მიუხედავად იმისა,რომ საერთაშორისო ორგანიზაციებზე უამრავი ნაშრომია დაწერილი, თემა ისევ

საჭიროებს კვლევას, მიუხედავად საერთაშორისო ორგანიზაციებზე და მათ როლზე თანამედროვე მსოფლიოში არსებული უამრავი ლიტერატურისა.

კვლევის ობიექტი: კვლევის ობიექტს წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციები, მათი კლასიფიკაციის შესწავლა, უნივერსალური და რეგიონული ორგანიზაციები;

ნაშრომის მიზანები და ამოცანები: **წი**ნამდებარე თემის მიზანია საერთაშორისო ორგანიზაციების შესწავლა, კონკრეტულად გაეროს, ნატოს და ევროკავშირის ჩართულობა სამშვიდობო მისიებში. ასევე თემის მიზანია გავამახვილოთ ყურადღება თუ რამდენად არიან ჩართულები კონფლიქტში დიდი საერთაშორისო ორგანიზაციები, რა როლი და რესურსები გააჩნიათ მათ და რა ის თუ რამდენად დიდია მათი არსებოდა და როლი თანამედროვე მსოფლიოში.

კვლევის მეთოდები. სამაგისტრო თემაზე მუშაობისას გამოვიყენეთ შემდეგი სამეცნიერო კვლევის მეთოდები: სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომების და საერთაშორისო ორგანიზაციების პროგრამებისა და პრაქტიკის ანალიზი, ახსნის, სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა, კლასიფიკაცია-დაჯგუფებები, საფუძველ-შედეგობრიობის კავშირი და ა. შ.

თავი 1. საერთაშორისო ორგანიზაციების კლასიფიკაცია

საერთაშორისო ორგანიზაციები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა:

1. **სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციები** ფუძნდება საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე, სახელმწიფოთა ჯგუფების მიერ, ამ ორგანიზაციაში შედის წევრ-სახელმწიფოთა ურთიერთქმედება და მათი ფუნქციონირება დამოკიდებულია გარკვეული საკითხების მიღებაზე, რომელიც შედის შესაბამისი ორგანიზაციების მოღვაწეობის სფეროში.

2. **საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები** იქმნება არა სახელმწიფოთა შორის ხელშეკრულების საფუძველზე, არამედ ფიზიკური და იურიდიული პირების გაერთიანების გზით.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეიძლება წამოჭრან საკითხები, რომლებსაც არ ითვალისწინებს მთავრობათა მოქმედება, შეაგროვონ მთელი რიგი საკითხები საერთაშორისო პრობლემებზე, თვალყური ადევნონ მთავრობათა მოქმედებსა, შეიმუშაონ მთელი რიგი საკითხები საერთაშორისო პრობლემის მოგვარებაში, დაეხმარონ ხალხს აზრთა მობილიზაციაში, რწმენის გამტკიცებაში.

თუმცა სახელმწიფოთა შორის ორგანიზაციების როლი უფრო დიდია საერთაშორისო რეგულირების საქმეში, მისი გავლენა პოლიტიკურ ცხოვრებაზე მეტად ფართოდ ვარირებს. ზოგიერთი ამგვარი ორგანიზაციის მოღვაწეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა შესწავლისთვის. ამიტომაც აუცილებელია მათი განცალკავებით განხილვა და გამოყოფა, მე შევეცდები განვავრცო ქვემოთ მოცემულ ნაშრომში მათი მნიშვნელობა.

როდესაც ვსაუბრობთ საერთაშორისო ორგანიზაციებზე პირველი რაც ალბათ ყველას გვახსენდება დიდი, ბუმბერაზი ორგანიზაციები: ნატო, გაერო, ევროკავშირი. [1i]მეორე მსოფლიო ომის კატასტროფულმა შედეგებმა აიძულა მსოფლიო 1945 წელს საყოველთაო მშვიდობის მიზნით შეიქმნა გაერთიანებული

[1] https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/saertashoriso%20ekonomikuri%20organizaciebi.pdf

ერების ორგანიზაცია. 1949 წლის 4 აპრილს კი ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია - ნატო შეიქმნა, რომლის მთავარი მიზანიც ალიანსის წევრი ქვეყნების უსაფრთხოება იყო. საერთაშორისო ასპარეზზე დიდი ადგილი უჭირავს ევროკავშირსაც რომელშიც ევროპის 27 სახელმწიფოა გაერთიანებული.

საერთაშორისო ორგანიზაციები შეადგენს საერთაშორისო სამართლის მნიშვნელოვან ნაწილს, ამიტომ სანამ უშუალოდ მათი როლის, საქმიანობის და მნიშვნელობის შესახებ დავიწყებთ საუბარს უნდა განვსაზღვროთ სამართლებრივი ნორმები.

თანამედროვე საერთაშორისო ორგანიზაციების სამართლის წყაროები;

საერთაშორისო ორგანიზაციების დამფუძნებელი აქტები;

უნივერსალური კონვენციები;

საერთაშორისო ორგანიზაციების პერსონის სტატუსის დამდგენი აქტები; შეთანხმებები სახელწიფოსთან სხვადასხვა იურიდიულ საკითხებზე; შეთანხმებები სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

თავად ორგანიზაციების ზოგიერთი გადაწვეტილებები.

საერთაშორისო ორგანიზაციები არის ზოგადი და სპეციალური. ზოგადი კომპეტენციის ორგანიზაციების საქნმიანობა მოიცავს წევრ-ქვეყნებს შორის ურთიერთობების ყველა სფეროს, ხოლო სპეციალური კომპეტენციის ორგანიზაციაში ხორციელდება თანამშრომლობა ერთ სფეროში.

უფლებების განვრცობის მიხედვით: არსებობს საერთაშორისო და ზეეროვნული ორგანიზაციები. პირველ ჯგუფში ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია მოიაზრება, ხოლო მეორეში ინტეგრაციის განხორციელების შედეგად

წარმოშობილი ორგანიზაციები. მათი გადაწყვეტილებები ვრცელდება რეგიონის წევრი ურიდიულ და ფიზიკურ პირებზე.

წევრობის პირობების მიხედვით: საერთაშორისო ორგანიზაციები არის ღია და დახურული. ღია საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრიანება თავისუფალია, დახურულში კი მიღება წარმოებს პირველი დამფუძნებლების მოწვევის მიხედვით[2].

კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპის გარდაუვალი მოვლენაა მსოფლიოს ქვეყნებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, სავაჭრო, კულტურული და სხვა ურთიერთობების განვითარება. თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციული ფორმაა ქვეყნების გაერთიანება საერთაშორისო ორგანიზაციების სისტემაში.

თანამედროვე საერთაშორისო ორგანიზაციების შესწავლისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალს, რომელიც არის განმსაზღვრელი მათი საქმიანობის.

საერთაშორისო ურთიერთობათა მონაწილეთა მიზნების ანალიზი არის ერთერთი მთავარი პირობა, რათა გავიგოთ მათი თავისებურებები, მისი განხილვა შეიძლება მხოლოდ საერთაშორისო ურთიერთობათა მონაწილეთა ქმედებების შედეგის ანალიზის შემდეგ. მიუხედავად ამისა, ანალიზი მაინც ვერ იქნება აბსოლიტური და ცალსახა, რადგან საერთაშორისო ორგანზაციები და ყველა მონაწილე მისდევს არაერთ არამედ რამოდენიმე მიზანს.

მრავალმხრივი თანამშრომლობის რეგულირების პრინციპის მიხედვით საერთაშორისო ორგანიზაციების ძირითადი ჯგუფებია:

[2] ი. ქარუმიძე, საერთაშორისო ორგანიზაციები, თბ., 1999

პირველი ჯგუფი: საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყნებს შორის პოლიტიკური თანამშრომლობის რეგულირებას;

მეორე ჯგუფი: საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც არეგულირებენ ქვეყნებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობებს;

მესამე ჯგუფი: საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც არეგუ-ლირებენ სახელმწიფოთა შორის სოციალურ-კულტურულ ურთიერთობებს;

მეოთხე ჯგუფი: საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთა რეგულირების სფეროა ვაჭრობა, საბაჟო საქმე, ტურიზმი, სპორტი, განათლება, მეცნიერება და სხვა[3].

მეხუთე ჯგუფი: საერთაშორისო არასამთავრობათაშორისი ორგანი-ზაციები, რომლებიც არეგულირებენ ასოციაციებს, ფედერაციებს, ფირმებს, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის ურთიერთობებს ისეთ სფეროებში, როგორიცაა პოლიტიკა, ეკონომიკა, სოციალურ-კულტურული სისტემა, ვაჭრობა, ტურიზმი, სპორტი და სხვა;

მეექვსე ჯგუფი: რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობას საფუძვლად უდევს ისეთი ურთიერთობების რეგულირება, როგორიცაა პოლიტიკა, ეკონომიკა, სოციალური სფერო, განათლება, მეცნიერება, კულტურა, რელიგია, სპორტი, ტურიზმი, გარემოს და სხვა[4].

აღნიშნულიდან გამომდინარე, საერთაშორისო ორგანიზაციები მოიცავენ საერთაშორისო ურთიერთობათა სხვადასხვა ასპექტებს. ისინი იქმნებიან ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ, ეროვნულ ურთიერთობათა

[3] http://www.economists.ge/storage/uploads/publication/141222051546a791.pdf
[4] ლევან ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, 2013.

და სხვა დარგებში. მათ გააჩნიათ განსაზღვრული თავისებურებები და სპეციფიკური ნიშნები.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, საერთაშორისო ორგანიზაციები შეიძლება დავყოთ სხვადასხვა ჯგუფებად საქმიანობის ხასიათისა და ნიშნების მიხედვით.

პირველს ჯგუფს მიეკუთვნება საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების სისტემა. იგი ითვლის 4 ათასზე მეტ საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციებს, რომელთაგან 300-ზე მეტი სამთავრობათაშორისი საერთაშორისო ორგანიზაციაა.

სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციები: ჩრდილო ატლანტიკის ხელ-შეკრულების ორგანიზაცია (ნატო); წყნარი ოკეანის უშიშროების პაქტი და სხვა.

სოციალურ-კულტურული პროფილის საერთაშორისო ორგანიზაციები: გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საერთაშორისო ორგანიზაცია (იუნესკო); ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია; მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია; საერთაშორისო კავშირი საბაჟო ტარიფების გამოქვეყნების დარგში; მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია; საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი; საერთაშორისო სპორტული ფედერაციები; ეკლესიების მსოფლიო საბჭო და სხვა.

პროფკავშირთა საერთაშორისო ორგანიზაციები: პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია; შრომის საერთაშორისო კონფედერაცია; თავისუფალ პროფკავშირთა საერთაშორისო კონფედერაცია და სხვა.

მშვიდობის მომხრეთა საერთაშორისო ორგანიზაციები: მშვიდობის მსოფლიო საბჭო; პაგუოშის მოძრაობა; მშვიდობის მსოფლიო ინსტიტუტი და სხვა.

პროფესიონალური საერთაშორისო ორგანიზაციები: ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაცია; ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაცია;

საერთაშორისო წითელი ჯვარი; პოლიტიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო ასოციაცია; პენკლუბი; კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია (ინტერპოლი) და სხვა

ეს ჯგუფები ბუნებრივია, მოიცავს ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მხოლოდ ძირითად, უმთავრეს სფეროებს.

1.1. უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციები

საერთაშორისო ორგანიზაციების კლასიფიკაცია სხვადასხვაგვარია და დამოკიდებულია. მათ შორის: მონაწილეების გაწევრიანების ხასიათის და შინაარსის მიხედვით: საერთაშორისო ორგანიზაციები არის სახელ-მწიფოთაშორისი და არასამთავრობო. საერთაშორისო მთავრობათაშორისი ორგანიზაცია ხელშეკრულებების საფუძველზე სახელმწიფოთა გაერთიანებაა, რომელიც ერთიანი მიზნის მისაღწევად ყალიბდება. მისთვის დამახასიათებელია დაფუძნების დოკუმენტის არსებობა და მუდმივი წევრობა. ისინი მოქმედებენ წევრი-ქვეყნების ინტერესების გათვალისწინებით, მათი სუვერენიტეტის დაცვით და გვევლინებიან საერთაშორისო სამართლის სუბიექტებად. არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციები იქმნება ფიზიკური ან იურიდიული პირების გაერთიანების საფუძველზე, რომლებიც ასოციაციების, ან ფედერაციების სახით არსებობენ და ერთიანდებიან კონკრეტული წევრების მიზნების მისაღწევად. მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით:

საერთაშორისო ორგანიზაციების ჩამოყალიბება ემყარება სახელმწიფოთა შეთანხმებულ ნებაყოფლობას, რომელიც ფიქსირდება ან საერთაშორისო შეთანხმებაში, ან უკვე არსებული საერთაშორისო ორგანიზაციის

გადაწყვეტილებაში. სახელმწიფოთაშორისი საერთაშორისო ორგანიზაციის ჩამოყალიბების თანმიმდევრობა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

1. დაფუძნების დოკუმენტის მიღება;

2. ორგანიზაციის სტრუქტურის განსაზღვრა;

3. მთავარი ორგანოს კრების ჩატარება, რომლის საფუძველზეც ორგანიზაცია იწყებს ფუნქციონირებას[5].

სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციის ჩამოყალიბების ყველაზე გავრცელებული ვარიანტია- საერთაშორისო შეთანხმების დადება. იგი მოითხოვს საერთაშორისო მოწვევას, სადაც ხდება იმ შეთანხმების ტექსტის შემუშავება, რომელიც დაფუძნების დოკუმენტად გვევლინება.

ორგანიზაციული პრინციპი ნიშნავს იმის დადგენას ეკუთვნის თუ არა საერთაშორისო ორგანიზაცია გაეროს სისტემას. ამასთან ყურადღებას იპყრობს საერთაშორისო ორგანიზაციების პროფილი და მათი საქმიანობის მიზნები. ასეთი მიდგომის მიხედვით, საერთაშორისო ორგანიზაციები შეიძლება დავყოთ შემდეგ ჯგუფებად:

გაეროს სისტემის სამთავრობათაშორისი საერთაშორისო ორგანიზაციები;

გაეროს სპეციალიზებული დაწესებულებები;

საერთაშორისო არასამთავრობათაშორისი ორგანიზაციები, რომლებიც სარგებლობენ ეგრეთწოდებული საკონსულტაციო სტატუსით გაეროს სისტემის ფარგლებში, მაგრამ არ მიეკუთვნებიან საერთაშორისო სამართლებრივ სუბიექტურობას;

საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც არ შედიან გაეროს სისტემაში;

რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციები.

---

5 გოჩა საითიძე- პირველი უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაცია ერთა ლიგა და დამოუკიდებელი საქართველო 1919-21 წ.წ. „უნივერსალი“ თბილისი 2010;

განასხვავებენ უნივერსალურ და რეგიონულ საერთაშორისო ორგანიზაციებს. პირველ კატეგორიას მიეკუთვნება ისეთი ორგანიზაციები, რომელთა მიზანია საერთაშორისო თანამშრომლობის სხვადასხვა საკითხის მოწესრიგება მსოფლიოს ყველა ან თითქმის ყველა სახელმწიფოს მონაწილეობით.

რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციები მოიცავენ გარკვეული გეოგრაფიული რეგიონის სახელმწიფოებს და ამ რეგიონის უშიშროების, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სხვა პრობლემების გადაწყვეტის მიზნებს ემსახურებიან.

ამის გარდა, საერთაშორისო ორგანიზაციები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან კომპეტენციის მიხედვით - ზოგად საერთაშორისო ორგანიზაციებს მიეკუთვნებიან ის ორგანიზაციები, რომელთა მიზანია საკითხთა ფართო სპექტრის რეგლამენტაცია, ხოლო სპეციალური კომპეტენციის მქონე, ანუ სპეციალიზებული ორგანიზაციები ვიწრო , სპეციალური დანიშნულების საკითხების მოწესრიგებას ემსახურებიან.

უნივერსალურ ზოგად საერთაშორისო ორგანიზაციას მიეკუთვნება მშვიდობის დაცვისა და ხალხთა თანამშრომლობის განვითარების ისეთი უნიკალური დაწესებულება, როგორიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. უნივერსალურ სპეციალიზებულ საერთაშორისო ორგანიზაციებს მიეკუთვნებიან, პირველ რიგში, გაეროს სისტემის სამთავრობათაშორისი საერთაშორისო ორგანიზაციები, ანუ სპეციალიზებული დაწესებულებანი. გაეროს წესდების 57-ე მუხლის თანახმად, ორგანიზაციას უნდა დაუკავშირდეს მთავრობებს შორის შეთანხმებებით შექმნილი სხვადასხვა სპეციალიზებული დაწესებულება, რომლებიც აღჭურვილნი არიან მათი დამფუძნებელი აქტებით განსაზღვრული ფართო

საერთაშორისო პასუხისმგებლობით ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა მსგავს დარგებში.

სპეციალიზებული დაწესებულებები დამოუკიდებელი საერთა-შორისო ორგანიზაციებია; გაერო მხოლოდ კოორდინაციას უწევს მათ საქმიანობას, აძლევს მათ რეკომენდაციებს საბიუჯეტო და საფინანსო საკითხებზე, სპეციალიზებულ დაწესებულებათა პოლიტიკისა და საქმიანობის ურთიერთშეთანხმების თაობაზე და სხვა.

გაეროს წესდების 52-ე მუხლში აღნიშნულია „გაერო არ უშლის ხელს იმას, რომ არსებობდეს რეგიონული შეთანხმებანი ან ორგანოები საერთაშორისო მშვიდობის და უშიშროების დაცვის საკითხების გადასაწყვეტად“.

უშიშროების საბჭომ ხელი უნდა შეუწყოს იმას, რომ ადგილობრივი დავა მშვიდობიანად გადაწყდეს ასეთ რეგიონულ შეთანხმებათა ასეთ რეგიონულ ორგანოთა მეშვეობით, ან დაინტერესებულ სახელმწიფოთა ინიციატივით, ანდა საკუთარი ინიციატივით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებია:

1.დაიცვას საერთაშორისო მშვიდობა და უშიშროება, ამ მიზნით მიიღოს ეფექტიანი კოლექტიური ღონისძიებანი მშვიდობისადმი მუქარის აღსაკვეთად და თავიდან ასაცილებლად, აგრესიის აქტების ან მშვიდობის სხვა დარღვევათა ჩასახშობად და მშვიდობიანი საშუალებით, სამართლიანობისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების თანახმად, მოაგვაროს ან გადაწყვიტოს საერთაშორისო დავები ან სიტუაციები, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ მშვიდობის დარღვევა;

2. განავითაროს მეგობრული ურთიერთობა ერებს შორის ხალხთა თანასწორუფლებიანობის და თვითგამორკვევის პრინციპის პატივისცემის

საფუძველზე, აგრეთვე მიიღოს სათანადო ღონისძიებანი საყოველთაო მშვიდობის განსამტკიცებლად.

უშიშროების საბჭო - გაეროს ძირითადი მუდმივად მოქმედი პოლიტიკური ორგანო, რომელსაც მისი წესდების თანახმად, აკისრია მთავარი პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროების დაცვაზე.

საერთაშორისო დავების მშვიდობიანი დარეგულირების, სახელმწიფოებს შორის სამხედრო შეტაკებების, აგრესიის აქტების აღკვეთის, მშვიდობის სხვა დარღვევების და საერთაშორისო მშვიდობის აღდგენის საქმეში საბჭოს გააჩნია ფართო უფლებამოსილებანი.

გაეროს წესდების თანახმად მხოლოდ უშიშროების საბჭოს და არანაირ სხვა ორგანოს ან ორგანიზაციის თანამდებობის პირს აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილება ოპერაციის ჩატარების შესახებ გაეროს შეიარაღებული ძალების გამოყენებით.

მხოლოდ უშიშროების საბჭოს შეუძლია გაეროს შეიარაღებული ძალების გამოყენებასა და შექმნასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრა, როგორიცაა შეიარაღებული ძალების ამოცანებისა და ფუნქციების, მათი შემადგენლობისა და რაოდენობის, უფროსობის სტრუქტურის, ოპერაციის რაიონებში ყოფნის ვადების განსაზღვრა. აგრეთვე ოპერაციების ხელმძღვანელობის საკითხების გადაჭრა და მათი დაფინანსების წესის განსაზღვრა.

უშიშროების საბჭო შედგება 15 სახელმწიფო-წევრისგან, მათგან 5 მუდმივია (რუსეთი, აშშ, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი), ხოლო ათი - არამუდმივი, მათ ირჩევს გენერალური ასამბლეა ორი წლის ვადით. გაეროს უშიშროების საბჭოს ყოველ წევრს თითო წარმომადგენელი ჰყავს საბჭოში.

მშვიდობის დაცვასა და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფაში უშიშროების საბჭოს როლია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება.

პრევენციული დიპლომატია: იგი მოიცავს ისეთ ზომებს, როგორიცაა ნდობის განმტკიცება, ნაადრევი წინასწარი შეტყობინება, ფაქტერის დადგენა და სხვა, რომლებიც უნდა შეუთავსდეს სახელმწიფო-წევრების კონსულტაციებს, ტაქტიანობას, კოფიდენციალობას, ობიექტურობასა და ტრანსპარენტულობას.

მშვიდობისმყოფლობა - მოქმედებები, რომელიც მიმართულია მოწინააღმდეგე მხარეების შესათანხმებლად.

მშვიდობის დაცვა - მოცემულ კონკრეტულ რაიონში გაეროს ყოფნის უზრუნველყოფა, რაც დაკავშირებულია გაეროს სამხედრო და პოლიციის პერსონალისმ, ზოგჯერ კი სამოქალაქო პერსონალის გაშლა-გაფართოებასთან.

მშვიდობის მშენებლობა კონფლიქტურ პერიოდში - ეს არის კონფლიქტის ლიკვიდაციის ან კონფლიქტური სიტუაციის შემდგომი მოქმედება, რომელიც მიმართულია ქვეყნებსა და ხალხებს შორის ძალადობის გაჩენის თავიდან აცილებაზე.

1.2. **რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციები**

რეგიონალური განვითარების პრინციპები წლების განმავლობაში შემოწმებასა და ანალიზს გადიოდა და მუდმივ განახლებას განიცდიდა, რათა საბოლოოდ პოლიტიკის პრინციპების ფართო სპექტრი მიგვეღო, რომელიც მიმართული იქნებოდა ეკონომიკისა და სოციალურ გამოწვევებზე, ისევე როგორც გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ მიზნების მიღწევაზე.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დაფუძნდა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ამას მალევე მოჰყვა რეგიონალური ინტიტუტების დაფუძნება,

რომლებიც სახელმწიფოებს ერთმანეთთან გეოგრაფიულად და იდეოლოგიურად აკავშირებდა. ცივი ომის დაწყებამ და უშიშროების საბჭოს აღსრულების მექანიზმის ჩავარდნამ განაპირობა რეგიონალური თავდაცვითი ალიანსების პოლიტიკური ბლოკების ჩამოყალიბება. რეგიონული პოლიტიკის წარმატება დაფუძნებულია პარტნიორულ ურთიერთობებზე, დაგეგმარებასა და რაციონალურ მართვაზე. როდესაც ეს პრინციპები ჩამოყალიბებულია, განვითარების პროგრამები შესაძლებელია დეცენტრალიზებული გზით ვმართოთ. ეს არის ის გამოცდილება, რომელიც გვაწვდის საფუძველს დისკუსია ვაწარმოოთ მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან ერთად, რომელთაც მსგავსი საკითხები გააჩნიათ.

აუცილებელი არ არის, რომ რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაცია მოიცავდეს მთელ კონტინენტს ან რეგიონს, ის შეიძლება არსებობდეს რამდენიმე კონტინენტზე, ან კონტინენტის ნაწილში მდებარე სახელმწიფოებში. გაეროს წესდების თანახმად, დასაშვებია „რეგიონალურ შეთანხმებათა ან ორგანოების შექმნა გარკვეულ გაოგრაფიულ რაიონში მშვიდობისა და უშიშროების დაცვის მიზნით.“ ეს ორგანიზაციები გაეროს წესდების შესაბამისად უნდა მოქმედებდნენ. მათი წევრები უნდა ცდილობდნენ, რომ თავიანთი დავები რეგიონალური ორგანიზაციების მეშვეობით გადაწყვიტონ და მხოლოდ ყველა სხვა საშუალების ამოწურვის შემდეგ ესა თუ ის დავა უნდა გადაეცეს გაეროს უშიშროების საბჭოს, თუ მანამდე თვითონ საბჭომ არ ჩათვალა საჭიროდ კონფლიქტში ჩარევა (52-ე მუხ.) რეგიონალურ ორგანიზაციას უფლება არა აქვს, გამოიყენოს შეიარაღებული ძალა, თუ ამას უშიშროების საბჭო არ მოითხოვს (53-ე მუხ.). მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაციის წევრები სხვა სახელმწიფოს შეიარაღებული აგრესიის ობიექტები გახდებიან, მათ უფლება აქვთ, ორგანიზაციის მთელი ძალები გამოიყენონ

აგრესორის უკუსაგდებად, რის შესახებაც ატყობინებენ უშიშროების საბჭოს (51-ე, 53-ე, 54-ე მუხლები)[6].

ევროპული რეგიონალური განვითარების პოლიტიკა დაფუძნებულია პოლიტიკურ პრინციპზე, რომლის მიხედვითაც მდიდარმა ქვეყნებმა და რეგიონებმა უნდა შეინარჩუნონ სოლიდარობა შედარებით ღარიბ ქვეყნებთან და რეგიონებთან მიმართებაში. ამასთან, ღარიბ წევრ ქვეყნებსა და რეგიონებში წარმოების შედარებით დაბალი მოცულობა და უმუშევრობის მაღალი დონე, მთლიანად კავშირისათვის პოტენციალისა და შესაძლებლობების დანაკარგს იწვევს.

ნატოს ჩამოყალიბების თავდაპირველი მიზეზი იყო წინააღმდეგობა გაეწიათ იმ საფრთხისათვის, რომელიც საბჭოთა კავშირიდან მოდიოდა. ჩრდილოატლანტიკური ალიანსისათვის მეტად მნიშვნელოვანი, ევროპისა და აზიის გზასაყარზე მდებარე შავი ზღვის რეგიონი გეოსტრატეგიული თვალსაზრისით ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ტერიტორიას წარმოადგენს, რომელიც მეტად დიდ როლს თამაშობს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში. ნატოსთან თანამშრომლობის გზაზე შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებისათვის მეტად მნიშვნელოვანია ალიანსის გამოცდილების გაზიარება უსაფრთხოების სფეროში რეფორმების ჩატარების თვალსაზრისით, შეაირაღებული ძალების ნატოს სტანდარტებით უზრუნველყოფაში. ნატოს გაფართოებასთან ერთად უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს ევროკავშირის გაფართოება და რეგიონში მდებარე პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების ევროკავშირის სამეზობლო ინიციატივაში ჩართვა, რაც დადებით გავლენას მოახდენს რეფორმების განხორციელების პროცესზე ამ ქვეყნებში.

[6] http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=6062

ნატო, როგორც რეგიონალური ორგანიზაცია წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის სუბიექტს. ნატო-ს გააჩნია საერთაშორისო სამართლებრივი უფლებები და მოვალეობები, შესაბამისად უფლება განახორციელოს ისინი საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად. ნატო ისევე როგორც სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები ფინანსდებიან წევრ სახელმწიფოების მიერ, რომლებიც ანიჭებენ გარკვეულ ძალაუფლებას. „ძალაუფლების ლიმიტი არის ფუნქცია საერთო ინტერესებისა, რომელიც ზრდის სახელმწიფოების დამოკიდებულებას მათზე[7].

დღეისათვის მიმაჩნია, რომ ტერიტორიული მთლიანობა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილია ნატო-ში გაწევრიანების. მიუხედავად იმისა, რომ ის არ წარმოადგენს ნატო-ს წევრობის დამაბრკოლებელ გარემოებას. ჩემი ეს მოსაზრება, კერძოდ საქართველოს მიმართ რამდენიმე არგუმენტს ემყარება. ნატო-ს მიზანს წარმოადგენს მთლიანად ალიანსის მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა და შესაბამისად ახალმა წევრმა სახელმწიფომ მშვიდობა და უსაფრთხოება ალიანსის უნდა გაზარდოს და არა პირიქით.

რეგიონული თანამშრომლობის განმტკიცება სამხრეთ კავკასიისა და შავი ზღვიშიდა და გარე უსაფრთხოება ერთი მედლის ორი მხარეა. ტერორიზმთან და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისათვის აუცილებელია, რომ ევროკავშირის ყველა ქვეყნის პოლიციის ძალებმა აქტიურად და მჭიდროდ ითანამშრომლონ.

ევროკავშირის ქცევა „სივრცედ, სადაც გამეფებული იქნება თავისუფლება, უსაფრთხოება და მართლმსაჯულება“[8], სადაც ყველა ადამიანს თანაბრად შეეძლება მართლმსაჯულებით სარგებლობა და ყველას ერთნაირად დაიცავს კანონი, ახალი გამოწვევაა, რომელიც საჭიროებს მთავრობებს შორის მჭიდრო თანამშრომლობას.

---

[7] ნ.ჩიტაძე ნატო ჩრდილოატლანტიური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთოების მთავარი გარანტი. თბ. 2008 წ. გვ 127.

[8] ფონტენი პ. ევროპის გაერთიანების ახალი იდეა, შუმანის დეკლარაცია 1950-2000. თბ., 2008

უფრო აქტიური და ქმედითი როლი უნდა ითამაშონ ისეთმა ორგანიზაციებმა, როგორებიც არის „ევროპოლი“. ევროპის პოლიციის სამსახური და „ევროჯასტი“, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომლობას ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყნის პროკურორებს, მოსამართლეებსა და პოლიციის ოფიცრებს შორის. ევროკავშირი მოწოდებულია, დაამყაროს ჰუმანიზმი და საზოგადოების ისეთი მოდელი, რომელსაც მისი მოქალაქეების უმრავლესობა ემხრობა. ევროპელები უფრთხილდებიან ფასეულობათა მდიდარ მემკვიდრეობას: რწმენას ადამიანის უფლებებში, სოციალურ სოლიდარობას, თავისუფალ მეწარმეობას, ეკონომიკური განვითარების პროდუქტების სამართლიან განაწილებას, უფლებას, გარემო დაცული იყოს, კულტურული,ენობრივი და რელიგიური მრავალფეროვნების პატივისცემის და ტრადიციებისა და პროგრესის ჰარმონიული შერწყმის უფლებას. ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყანაში საზოგადოებრივი აზრი მეტ-ნაკლებად გაყოფილია ევროკავშირის საბოლოო საზღვრებთან დაკავშირებით. მხოლოდ გეოგრაფიული კრიტერიუმების გათვალისწინება, რომ ხდებოდეს და მხედველობაში არ იქნეს მიღებული დემოკრატიული ფასეულობები, ევროკავშირში - ევროპის საბჭოს მსგავსად- შეიძლება საბოლოოდ 47 წევრი აღმოჩნდეს, მათ შორის რუსეთიც. მაგრამ ნათელია, რომ რუსეთის გაწევრიანება დაარღვევს ევროკავშირში როგორც პოლიტიკურ, ისე გეოგრაფიულ წონასწორობას.ს რეგიონის სახელმწიფოებთან;

ევროკავშირის 2014-2020 წლების ბიუჯეტის მიხედვით ევროკავშირის იტეგრაციის პოლიტიკის ფარგლებში 325 მილიარდი ევროს ინვესტირება მოხდება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში, მათ რეგიონებსა და ქალაქებში, რათა ხელი შეეწყოს ევროკავშირის მიზნების- ეკონომიკური ზრდისა და სამუშაო ადგილების

შექმნის, კლიმატის ცვლილებასთან, ენერგორესურსებზე დამოკიდებულებასთან და სოციალურ გარიყვასთან ბრძოლის-მიღწევას.

ამ მიზნების მისაღწევად სახსრები სპეციალური ფონდებიდან გამოიყოფა. ეს ფონდები გამოიყოფა კერძო სექტორის მიერ გაწეულ კაპიტალ დაბანდებებზე დამატებით და წაახალისებს ივესტირებას კერძო სექტორის და ეროვნული და რეგიონული მთავრობების მიერ: ევროპის რეგიონული განვითარების ფონდი გამოიყენება რეგიონული განვითარების პროექტების დასაფინანსებლად და რეგიონებში ეკონომიკის განვითარების ხელშესაწყობად, აგრეთვე პრობლების მქონე საწარმოო რეგიონებში ეკონომიკური საქმიანობის გადასახალისებლად.

ევროკავშირი წარმოადგენს ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში საერთაშორისო დონეზე არსებულ მთავარ სუბიექტს[9]. ამავდროულად, ევროკავშირი დიდ ყურადღებას უთმობს ისეთ საკითხებს, როგორიც არის კრიტიკული ინფორმაციული ინფრასტრუქტურის დაცვა, ინფორმაციული საზოგადოების ფორმირება და ინფორმაციული დაცვა. ევროკავშირმა დაიწყო სამეცნიერო - კვლევითი და სხვა სახის პროგრამების რეალიზება,რომელიც უკავშირდება ინფორმაციული რევოლუციის ასპექტებსა და განათლებაზე, ბიზნესზე, ჯანდაცვასა და კავშირგაბმულობაზე მათ გავლენას.

2005 წლის ნოემბერში ევროკავშირის კომისიის მიერ მიღებულია კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვის ევროპული პროგრამა „მწვანე წიგნი“ ,სადაც განსაზღვრულია ევროკავშირის მოქმედების მიმართულებები მოცემულ სფეროში.

ევროკავშირი, მისი ინსტიტუტები, ქმნიან ისეთ ინსტრუმენტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ ტრანსფორმაციას. ეს არის სხვადასხვა სახის შეთანხმებები ასოცირებული, ევროპის, პარტნიორობისა და თანამშრომლობის, სტაბილიზაციისა

[9] კაპუსტინ ა. ევროკავშირი: ინტეგრაცია და სამართალი. - მ., 2000 წ

და ასოცირების და სხვა. ამ შეთანხმებაში ძირითადი აქცენტები კეთდება პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის, ინსტიტუტების განვითარებაზე, ქვეყნის შიდა მშენებლობაზე და საერთაშორისო სისტემაში მისი ადგილის დამკვიდრებაზე. ფინანსური დახმარების ინსტრუმენტები ხელს უწყობენ ხელმომწერ ქვეყნებს დასახული მიზნების რეალიზაციაში.

სხვა რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციებიდან აღსანიშნავია: შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (BSEC)[10], ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია, აფრიკული კავშირი, არაბულ სახელმწიფოთა ლიგა და ა.შ.

[10] https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/MultilateralRelations/BSEC.aspx

II. საერთაშორისო ორგნიზაციების როლი კონფლიქტების დარეგულირების საქმეში

2.1. ნატოს სამშვიდობო მისიები

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ნატოს სარდლობის ქვეშ მყოფი უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთაშორისო ძალებმა (ISAF) ავღანეთში თავიანთი მოღვაწეობა დაიწყეს 2003 წლის აგვისტოდან. ერთი წლის შემდეგ ნატოს ძალებმა მიიღეს გადაწყვეტილება მონმდევნო ეტაპზე ავღანეთში გაგზავნილ ყოფილიყო კონტიგენტი, ე.წ. „აღდგენის პროვინციული ჯგუფები“.

ისაფ-ის გაფართოებული ყოფნა მიმდინარეობს ცხრა პროვინციაში ქვეყნის ჩრდილოეთით, საერთო ფართობით 185 ათასი კვადრატული კილომეტრი, მათ შორის 3600 კვადრატულ კილომეტრს ქაბულთან და მის შემოგარენთან.

ავღანეთში მოღვაწეობის პერიოდში ისაფ-ის ძალებმა მხარი დაუჭირეს ავღანეთს ქვეყანაში ნორმალური არჩევნების ჩატარებისათვის 2004 წლის 9 ოქტომბერს.

მსოფლიო ისტორიის ირონიაა ის ფაქტი, რომ ნატო თავის პირველ სახმელეთო საბრძოლო ოპერაციას მართავს იქ, სადაც ცივი ომის დროინდელი მეტოქე-საბჭოთა არმია საბოლოოდ დამარცხდა და იძულებული გახდა 1988 წლიდან ავღანეთიდან საკუთარი ჯარების გამოყვანა დაეწყო.

ეს არის ნატოს პირველი სამხედრო სახმელეთო ოპერაცია, როგორც წინა ქვეთავში ავღნიშნეთ, ალიანსი 1999 წელს კოსოვოშიც იბრძოდა, მაგრამ მაშინდელი კომპანია მხოლოდ საჰაერო გახლდა. ნატოს სახმელეთო ჯარები

კოსოვოში ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე შევიდნენ, მას შემდეგ, რაც იქ საომარი მოქმედებები იუგოსლავიის არმიის წინააღმდეგ დასრულდა, და ამის შემდეგ იქ დაღუპულთა უმრავლესობაც საგზაო შემთხვევებს ემსხვერპლა. ავღანეთში კი, მას შემდეგ რაც ალიანსმა 2006 წლის ზაფხულიდან ავღანეთის სამხრეთიც ჩაიბარა, ნატოელი ჯარისკაცები სწორედ სამხედრო მოქმედებების შედეგად იღუპებიან. 2006 წლის მონაცემებით ნატოს ოპერაციებში 49 სამხედრო დაიღუპა - აქედან 34 კანადელი, ხოლო 15 ბრიტანელი ავიაკატასტროფას შეეწირა. ამავე დროს ავღანეთის სამთავრობო ძალების სამოქალაქო პირებისა და მათ წინააღმდეგ მებრძოლი თალიბთა დანაკარგები ერთიანად რამდენიმე ათას ადამიანს მოიცავს[11].

ავღანეთში ნატოს ძალების ბრიტანელი სარდალი გენერალი დეივიდ რიჩარდსი თვლის, რომ ოპერაცია სამხედრო თუ პოლიტიკური თვალსაზრისით ჯერჯერობით წარმატებულად მიმდინარეობს. ამ ოპერაციამ ცხადყო ნატოს საომარი მზაობა, მისი წყალობით ქალაქი ყანდაღარი მოჯანყე თალიბთა ხელში ჩავარდნას გადაურჩა და ეს უკანასკნელიც იძულებულნი გახდნენ, კადნიერი მასშტაბური იერიშებიდან ისევ პარტიზანულ ქმედებებს დაბრუნებოდნენ. აშშ-მ ნატოს რიგიანი გარჯა იმით დაუფასა, რომ 2006 წლის ოქტომბერში გენერალ რიჩარდსის დაქვემდებარებაში დამატებით კიდევ 11 ათასი ამერიკელი სამხედრო გაამწესა.

მართალია, ამ მომენტისათვის საბრძოლო მოქმედებათა ალი განულებულია, მაგრამ ნატოელი სტრატეგები ჩინებულად აცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ თალიბანს ისინი მხოლოდ მოჯანყეებს საიმედო თავშესაფარი აქვთ ავღანეთ-პაკისტანის საზღვარზე. გენერალმა რიჩარდსმა რამდენჯერმე მოუწოდა საერთაშორისო

[11] https://www.myadvokat.ge/ka/blog/8286/saertashoriso-organizaciebis-roli-msoflioshi

ორგანიზაციებს რამენაირად გაეუმჯობესებინათ სამხრეთ ავღანეთის მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს რეგიონი თალიბანის რიგების შესავსებად კვლავაც უნოყიერეს ნიადაგად დარჩებოდა.

ის, რომ თალიბთა მიერ ძალაუფლების უკუპყრობა სახიფათო იქნება არამარტო ავღანეთის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის, არავისთვის, თვით ყველაზე ლიბერალურად განწყობილი მემარცხენე ევროინტელექტუალის ეჭვს აღარ იწვევს.

ავღანეთის ოპერაციამ ამავდროულად ალიანსის წინაშე არსებული გარკვეული პრობლემებიც გამოაჩინა, საბრძოლო მოქმედებათა უმთავრეს ტვირთს მხოლოდ შეერთებული შტატები, კანადა, ბრიტანეთი, და ჰოლანდია (ასევე არანატოელი ავსტრალია) კისრულობენ. სხვა ქვეყნების მთავრობები უარს აცხადებენ მათი სამხედრო ნაწილების შედარებით უსაფრთხო ჩრდილო და დასავლეთი რეგიონებიდან სახიფათო სამხრეთში გადაყვანასა და ბრძოლაში ჩაბმული მოკავშირეებისათვის შეიარაღების, მაგალითად ვერტმფრენების გადაცემაზე. ამ საკითხის გარშემო ჩვენ წიგნის მომდევნო თავში უფრო დაწვრილებით გვექნება საუბარი.[12]

ნატოს როლი მშვიდობის უზრუნველყოფაში-კოსოვო

ბრიუსელის შეთანხმების საფუძველზე დღეისათვის კოსოვოს მთავრობა აკონტროლებს ქვეყნის ტერიტორიას და სერბეთის ავტონომია გაუქმებულია. ამავე შეთანხმების საფუძველზე სერბეთმა კოსოვო აღიარა, როგორც ავტონომია და არა სახელმწიფოდ.

შიდა ეთნიკური დაძაბულობა კოსოვოში 1980-იან წლებში გამწვავდა. ამ პერიოდში აქტიურდება კონფლიქტის ლატენტური სტადია. 1989 წელს სხვადასხვა გზებით მილოშევიჩმა კოსოვოს სპეციალური ავტონომიური სტატუსი შეუჩერა და

[12]https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/pdf_publications/20190925_What_is_NATO_geo_20190712_LD.pdf

დაიწყო ეთნიკური ალბანელების კულტურული შევიწროება. გამოიკვეთა ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის ტერიტორია.

კოსოვოს ალბანელებმა დაიწყეს არაძალადობრივი სეპარატისტული მოძრაობები და სხვადასხვა დამოუკიდებელი ინსტიტუტების შექმნა, რომელთა მიზანიც საბოლოოდ დამოუკიდებლობის მიღება იქნებოდა. 1990 წლის 2 ივლისს კოსოვომ იუგოსლავიის შემადგენლობაში თავი რესპუბლიკად გამოაცხადა, ხოლო 1991 წლის სექტემბერში მათ კონსტიტუციაც მიიღეს.

1990 წლიდან მშვიდობიანი გამოყოფის მცდელობის ჩაშლისა და 1997-99 წლებში ალბანური შეიარაღებული ამბოხის შემდგომ ნატო-მ 78 დღიანი თავდასხმა განახორციელა იუგოსლავიაზე, რათა კოსოვოს ომი შეეჩერებინა.

ნატო-ს ძირითადი მიზნები კოსოვოში იყო: კრიზისის მშვიდობიანი გზით დარეგულირება; სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა მეზობელ სახელმწიფოებში.მალევე გაიმართა კონფერენცია და მომზადდა პროექტი, სადაც კოსოვოს ავტონომია უნდა განახლებულიყო და ნატო-ს სამშვიდობო ძალებს გაეკონტროლებინათ კონფლიქტის ზონა.

ნატომ არაერთხელ გააფრთხილ აბელგრადის ხელისუფლება, რომ თუ იგი არ შეწყვეტდა სამხედრო ოპერაციებს დასამართლებრივი ნორმების უხეშ დარღვევას კოსოვოში, რის შედეგადაც ხორციელდებოდა ძალადობა კოსოვოს მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, და ასევე თუ იუგოსლავიისათვის მიუღებელი იქნებოდა [13]რამბუიეში შეთავაზებული წინადადებები, ალიანსი იძულებული იქნებოდა დაეწყო სამხედრო ოპერაცია. მიუხედავად ამ მოწოდებისა, მილოშევიჩის რეჟიმმა იგნორირება გაუკეთა ნატოს.

[13] https://mod.gov.ge/ge/mission/54/misia-kosovoshi

1999 წლის 24 მარტს და 10 ივნისს ნატო-ს ძალები იძულებული გახდნენ დაებომბათ იუგოსლავია, რათა მილოშევიჩის შეიარაღებული დაჯგუფებები კოსოვოდან გაეყვანათ. გაგრძელდა ალბანელ პარტიზანებსა და იუგოსლავიის ძალებს შორის შეტაკებები და სამწუხაროდ, ამ ომის დროს ყველაზე მეტად რიგითი ადამიანები დაზარალდნენ. კონფლიქტის დროს დაახლოებით ერთი მილიონი ალბანელი წამოვიდა ან გამოაგდეს კოსოვოდან. 1991 წელს ზოგიერთი მონაცემებით 11 ათასი მოკლული დაფიქსირდა.

2008 წლის 17 თებერვალს პარლამენტმა კოსოვოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოაცხადა და მიიღო აღიარება რამდენიმე დამოუკიდებელი სახელმწიფოსგან (საბერძნეთი, ალბანეთი,მონტენეგრო, იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკა მაკედონია, ამერიკის შეერთებული შტატები და სხვა).

2008 წელს კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებამდე მოლაპარაკებების პროცესში ალბანეთი და სერბეთი თავიანთ მოთხოვნებს აყენებდნენ კოსოვოს საკითხთან მიმართებაში. ალბანეთი აქტიურად უჭერდა მხარს კოსოვოს დამოუკიდებლობას, რადგან ეს მათი აზრით ერთადერთი გზა იყო კოსოვოელთა თვითგამორკვევისა და ძალადობის აღკვეთისათვის (რომელიც გენოციდის სახით ხდებოდა მილოშევიჩის დროს). კოსოვოს, როგორც კონფლიქტურ ტერიტორიას, განსაკუთრებულ შემთხვევად განიხილავდა და მას სერბეთის მიერ 1912 წელს დაპყრობილ ტერიტორიად მოიაზრებოდა.

რაც შეეხება სერბეტს, იგი წინააღმდეგი იყო დამოუკიდებლობისა და ავტონომიის ფარგლებში კოსოვოს ეროვნულ სუვერენიტეტს სთავაზობდა. საინტერესოა კოსოვოს შემთხვევის უნიკალურობის საკითხი, რომელსაც ალბანეთი აღიარებდა.

საერთო ჯამში აუცილებელია აღინიშნოს, რომ კოსოვოში არსებული დაძაბული ვითარების მიმართ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის დამოკიდებულება ხასიათდებოდა გარკვეული სირთულეებითა და წინააღმდეგობებით. თუმცა, საბოლოოდ ამ პრობლემის არსებობამ უდიდესი გავლენა მოახდინა ნატოში შემდგომ ცვლილებებზე დადებითი მიმართულებით, რადგანაც მან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მისი საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდას და მისი ფუნქციების და მიზნების თანამედროვე რეალობასთან მისადაგებას. კოსოვოში ნატოს მოქმედებამ დიდი გავლენა მოახდინა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების ახლებურად გააზრების საქმეში, რაც უპირველეს ყოვლისა გამოწვეული იყო იმით, რომ შეიქმნა პრეცენდენტი რომ ნატოს ალიანსის ფარგლებს გარეთ განეხორციელებინა ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია, რომლის მთავარი მიზანი გახლდათ ეთნიკური წმენდის თავიდან აცილება, ძალადობის შეჩერება.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ კოსოვოში დაძაბული ვითარების მიმართ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის დამოკიდებულება ხასიათდება გარკვეული სირთულეებითა და წინააღმდეგობებით. თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ პრობლემის არსებობამ განაპირობა ნატო-ში დადებითი მიმართულებით ცვლილებები, რადგანაც მნიშვნელოვნად გაიზარდა მისი საერთაშორისო ავტორიტეტი (გაეროს ავტორიტეტის დაცემის პარალელურად). კოსოვოში ნატო-ს მოქმედებამ დიდი გავლენა იქონია თანამედროვე საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების ახლებურად გააზრების საქმეში. ნატო-ს საშუალება მიეცა ალიანსის ფარგლებს გარეთ განეხორციელებინა ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია, რომლის მთავარი მიზანიც ეთნიკური წმენდის თავიდან აცილება გახლდათ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც დემოკრატიული

ქვეყნების ალიანსმა სამართლიანობის აღდგენა და მორალური ფასეულობების დაცვის პრინციპები არსებულ საერთაშორისო ნორმებზე მაღლა დააყენა.[14]

ნატოს როლი ერაყში

ნატო, როგორც ორგანიზაცია, არ მონაწილეობდა ერაყში აშშ-ის ხელმძღვანელობით წარმოებულ მრავალეროვნული კოალიციური ჯარების სამხედრო ოპერაციაში. ალიანსის როლი ერაყში შემოიფარგლებოდა ერაყელი სამხედრო მოსამსახურეების გაწვრთნით. ამით ნატო ხელს უწყობდა ერაყის მთავრობას ეფექტიანი შეიარაღებული ძალების ფორმირებაში და მხარს უჭერდა მათი თავდაცვითი შესაძლებლობის ამაღლებას. 2004 წლის 22 ივნისს ერაყის გარდამავალი მთავრობის პრემიერ-მინისტრმა თხოვნით მიმართა ნატოს გენერალურ მდივანს, დახმარება აღმოეჩინა ერაყელი სამხედრო ერაყელი სამხედრო მოსამსახურეეების გაწვრთნასა და სხვა ტექნიკურ საკითხებში. 2004 წლის 28 ივნისს ნატოს სტამბოლის სამიტზე შეხვედრის მონაწილეებმა გადაწყვეტილება მიიღეს, ერაყის მთავრობას სამხედრო პერსონალის გაწვრთნაში დახმარებოდნენ. იმავე წლის 30 ივლისს ჩამოყალიბდა ნატოს წვრთნების საიმპლემენტაციო მისია ერაყში. 2004 წლის 7 აგვისტოდან ნატოს მისია ახორციელებდა ერაყელი სამხედრო მოსამსახურეების წვრთნას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ნატოს წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე. თავდაპირველად, წვრთნების საიმპლემენტაციო მისია 50 ოფიცეერს აერთიანებდა. 2004 წლის 22 სექტემბერს მისი რეკომენდაციების საფუძველზე, ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ გადაწყვიტა მისიის პირადი შემადგენლობის გაზრდა და ერაყში წვრთნების, განათლებისა და დოქტრინების ცენტრი ჩამოყალიბდა. მისიაში მომსახურე პერსონალის რაოდენობა სამას კაცამდე გაიზარდა და მათ ერაყის საშუალო და მაღალი რანგის სამხედრო

[14] http://old.infocenter.gov.ge/nato-structure/

მოსამსახურეების გაწვრთნა დაევალათ. ამასთანავე, შეიცვალა მისიის სახელწოდება- ნატოს საწვრთნელი მისია ერაყში. შინაარსობრივად ნატოს საწვრთნელი მისია ერაყში არასაომარი ხასიათის იყო და ერაყელი სამხედროების გაწვრთნას, აღჭურვასა და ტექნიკურ დახმარებას ისახავდა მიზნად. 2004-2006 წლების განმავლობაში ნატოს მისიის ფარგლებში 5000-მდე ოფიცერმა აიმაღლა კვალიფიკაცია. მისიის დაწყებიდან დღემდე [15]ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა ერაყის მთავრობა სხვადასხვა სამხედრო-ტექნიკური საშუალებით მოამარაგა, რომლის საერთო ღირებულება 110 მილიონ ევროს შეადგენდა.

2.2. **გაეროს სამშვიდობო მისიები;**

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფისა და სახელმწიფოთა თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაციაა. იგი შეიქმნა 1945 წლის ივნისში, როდესაც სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე 50 სახელმწიფომ ხელი მოაწერა მის წესდებას. წესდება ძალაში შევიდა 1945 წლის 24 ოქტომებერს. ეს დღე ყოველწლიურად აღინიშნება მსოფლიოში, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დღე.

გაეროს წესდება უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ხელშეკრულებაა. იგი შეიცავს 19 თავსა და 111 მუხლს. წესდებაში ასახული და განვითარებულია თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ძირითადი დემოკრატიული პრინციპები. წესდების განუყოფელი ნაწილია გაეროს საერთაშორისო სასამართლოს წესდება.

[15] https://mod.gov.ge/ge/mission

გაეროს შექმნის მთავარ მოტივს - ხალხთა მტკიცე გადაწყვეტილებას ომის უბედურებისაგან იხსნან მომავალი თაობები, კვლავაც განამტკიცონ ადამიანის ძირითად უფლებათა, მამაკაცთა და ქალთა თანასწორ უფლებიანობის, დიდი და პატარა ერების თანასწორობის რწმენა, შექმნან პირობები, რომელთა დროსაც შესაძლებელი იქნება სამართლიანობის დაცვა, ხელი შეუწყონ სოციალურ პროგრესს და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას უფრო მეტი თავისუფლების პირობებში.

მშვიდობის უზრუნველყოფა მსოფლიოში და კონფლიქტების მოგვარება სწორედ ის საკითხებია, რომელთა გამოც ამ ორგანიზაციას უკიდურესი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებენ. საზოგადოების აზრი ორადაა გაყოფილი. ზოგს მიაჩნია, რომ გაეროს არასოდეს შეუსრულებია ქმედითი როლი პრობლემების გადაჭრაში, რომ გაეროს არც ბიპოლარულმა და არც მონოპოლარულმა საერთაშორისო სისტემამ არ მისცა საშუალება მოეგვარებინა ლოკალური კონფლიქტები, ვერ აღკვეთა ბირთვული იარაღის გავრცელება, ვერ დაძლია სიღარიბე და ვერ უზრუნველყო ყველა სახელმწიფოს თანაბარი და სტაბილური განვითარება. ზოგი მიიჩნევს, რომ მიუხედავად რიგი ხარვეზებისა, მაინც უსამართლობაა გაეროს საქმიანობის სიკეთის უგულებელყოფა. ისინი ფიქრობენ, რომ გაეროს აქვს პერსპექტივები და შანსი ეფექტური რეფორმირების პირობებში უფრო მოქნილი გახდეს. ამ ჯგუფის აზრით, გაეროს არსებობა თავად საერთაშორისო საზოგადოების მოთხოვნილებაა და არ იქნებოდა მიზანშეწონილი უარი გვეთქვა ამ ინსტიტუტის არსებობაზე და მისი სრულყოფა არ გვეცადა.

მართლაც, თანამედროვე ისტორიაში მრავლადაა ამ ორი მოსაზრების დამადასტურებელი ფაქტები. გაეროს როლი მშვიდობის დაცვის საქმეში რომ უდიდესია, ამას მისიების რაოდენობაც მოწმობს. ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 1940-იანი

წლებიდან გაერომ თავისი მისიები გაგზავნა საბერძნეთში, ინდონეზიაში, პალესტინაში. პირველი რეალური ოპერაცია გაეროს სამხედრო კონტიგენტის მონაწილეობით ჩატარდა ახლო აღმოსავლეთში. სუეცის კრიზისის შემდეგ 1956 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის #998 რეზოლუციით, გაეროს საგანგებო ძალები განლაგდნენ ეგვიპტე-ისრაელის საზღვრების გასწვრივ. მოგვიანებით სამშვიდობო ოპერაციები ჩატარდა კონგოში (1960-1964), კვიპროსში (1964), ლიბანში (1982), თუმცა რაოდენობრივად ყველაზე მეტი ოპერაცია მოეწყო მე-20 საუკუნის 90-იან წლებში.

აღსანიშნავია, რომ არც გაეროს ფუნქციონირება ყოფილა ყოველთვის შედეგიანი და ეფექტური. მაგალითად, 1960-ანების მისია კონგოში, 1973 წლის იომქიფურის ომი, ასევე ცივი ომის შემდეგ სომალიში, რუანდასა და ბოსნიაში ცუდი შედეგით დასრულდა ოპერაციები. ამასთანავე ამ მისიებში გამოყენებული ეკონომიკური და სამხედრო რესურსი უშედეგო აღმოჩნდა. ბოლო ტალღის შედეგებიც უარყოფითი იქნება, რადგან საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთიც 2006 [16]წლიდან აღიარებენ თავიანთ მარცხს სომალიში. ასევე საინტერესოა , ისეთი პოლიტოლოგების აზრი, როგორებიცაა, რობერტსი და ზაუმი. მათი აზრით გაეროს შესაძლებლობები შეზღუდულია კონფლიქტის სხვადასხვა ფაზებში, რადგან მას არ აქვს საკუთარი სამხედრო ძალა, ომის პროცესების საწარმოებელი საშუალება, აგრესიისა და კონფლიქტების შეჩერების უნარი. გაეროს არ ყავს შესაბამისი ძალები მშვიდობის დასაცავად და გამოდის, რომ მისი მცდელობები ნაკლებად ეფექტურია.

1968 წლის მაისში იმდროინდელი ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ პრაღაში დაიწყო საპროტესტო აქციები. დემონსტრანტების დიდი ნაწილი მოითხოვდა

[16] https://www.timer.ge/gaeros-samshvidobo-misia-mshvidobismkhopelebis-mkhridan-seqsualuri-dzaladobis-akhal-paqtebze-saubrobs/

ეკონომიკური რეფორმების გატარებას, კერძოდ საკუთრების აღდგენას და მჭიდრო კავშირების დამყარებას დასავლეთის სახელმწიფოებთან. საბჭოთა ხელისუფლებას შეეშინდა, რომ ჩეხი კომუნისტების მიერ დაწყებული დამოუკიდებელი შიდა პოლიტიკის გატარება გამოიწვევდა ჩეხოსლოვაკიაზე კონტროლის დაკარგვას. ასეთი პრეცენდენტის დაშვება კი, მათი აზრით, სოციალისტური ბლოკის დარღვევას შეუწყობდა ხელს, როგორც პოლიტიკურ, ისე სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით. საბჭოთა ხელისუფლებამ აგვისტოში ლეონიდ ბრეჟნევის ხელმძღვანელობით მიიღო გადაწყვეტილება დაუყონებლივ შეეყვანა სადამსჯელო ჯარები პრაღაში, ეს მოვლენა ისტორიაში „პრაღის გაზაფხულის სახელითაა ცნობილი.

ამ პერიოდში გაეროს სამშვიდობო ძალები მოქმედებდნენ ერაყსა და ქუვეითში, ანგოლაში, დასავლეთ საჰარაში, კამბოჯაში, ბოსნია-ჰერცოგოვინაში, სერბეთში, ჩერნოგორიაში, ხორვატიაში, მაკედონიაში, მოზამბიკში, ჰაიტიზე, სომალიში, რუანდაში. ამ ოპერაციებიდან ზოგი შეფასდა წარმატებულად, ზოგი - ნახევრად წარმატებულად, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში გაერომ სრული უმოქმედობა და პასიურობა გამოავლინა.

გაეროს მისიამ საქართველოში ნათლად დაადასტურა, თუ როგორი არაქმედითია ეს ორგანიზაცია მაშინ, როცა მუდმივი ვეტოს მქონე სახელმწიფო (საქართველოს შემთხვევაში - რუსეთი) თავადაა დაინტერესებული კონფლიქტის გაღვივებითა და მართვით და უშიშროების საბჭო ვერანაირ წინააღმდეგობას ვერ უწევს ასეთ სახელმწიფოს და შესაბამისად, ყველა სამშვიდობო ინიციატივასაც აზრი ეკარგება.

გაეროს დამკვირვებელთა მისია საქართველოში (UNOMIG) გაეროს უშიშროების საბჭოს 1993 წლის 24 აგვისტოს 858 რეზოლუციის თანახმად დაარსდა.

თავდაპირველად მისიას ევალებოდა 1993 წლის 27 ივლისს კონფლიქტის მხარეების მიერ ხელმოწერილი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მონიტორინგი, შეთანხმების დარღვევის ფაქტების გამოძიება, მხარეებთან ერთად ამ დარღვევების გამოსწორების მცდელობა და ამ დარღვევების შესახებ გაეროს გენერალური მდივნისთვის მოხსენება. უდავოა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების პროცესებში საწყისი ეტაპიდან ჩაერთო და მის გადასაჭრელად გარკვეული ღონისძიებებიც გაატარა, თუმცა ერთა გაეროს მიერ გატარებული ღონისძიებები და მეორე - შედეგი, რომელიც ამ ქმედებებს მოჰყვა.

სამწუხაროდ, შესაძლოა ითქვას, რომ გაეროს მიერ საქართველოს მხარდაჭერა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების სურვილი უფრო მეტად დეკლარირებულ ხასიათს ატარებდა, რადგან არასოდეს მოუთხოვიათ სერიოზულად პასუხი რუსეთისათვის, რომელსაც იმის მაგივრად, რომ შეესრულებინა შუამავლის როლი კონფლიქტში, თავად არღვევდა კონფლიქტის მოსაგვარებლად გაეროს შეთანხმებებს, უგულებელყოფდა გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ რეზოლუციებს. ამის უხეში მაგალითია ის, რომ დაუსჯელობით გათამამებულმა მოსკოვმა ჯერ ომი წამოიწო საქართველოში, ხოლო მოგვიანებით საფრთხე შეუქმნა პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა სახეკმწიფოებსაც, რამაც დიდი საშიშროების წინაშე დააყენა არა მარტო საქართველოს, უკრაინისა თუ მოლდოვის უსაფრთხოება, არამედ მთელი ევროპული სახელმწიფოების სტაბილურობა და დაანახა საერთაშორისო საზოგადოებას, რომ თვალების დახუჭვა საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევაზე და დამრღვევის რეაგირების გარეშე დატოვება მომავალში აუცილებლად გამოიღებს უარეს შედეგს.

გაეროს მონაცემებით, ამჟამად სამშვიდობო ძალებში 125 000-ზე მეტი სამხედრო, პოლიციელი და სამოქალაქო პირი, მსოფლიოს 120 ქვეყნიდან მსახურობს. სამშვიდობო კონტიგენტის ბიუჯეტის დაახლოებით 30%-ს აშშ აფინანსებს.

დაბოლოს, გაერო უდავოდ მნიშვნელოვანი ორგანიზაციაა დღევანდელ საერთაშორისო ურთიერთობებში, თუმცა აქვს ძალიან ბევრი ნაკლიც და ხარვეზიც, რაც ხშირად მისი ფუნქციონირების არაეფექტიანობას განსაზღვრავს. გაეროს არაეფექტიანობა, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია უშიშროების საბჭოს 5 მუდმივი წევრი სახელმწიფოს ვეტოს უფლებით, რაც გადაწყვეტილების მექანიზმებს ძალიან ასუსტებს ან მათ მიღებას საერთოდ შეუძლებელს ხდის იმ შემთხვევაში , თუ ვეტოს უფლების მქონე ქვეყანა თავადაა აგრესიის წყარო და საერთაშორისო მშვიდობას საფრთხით ემუქრება. გაეროს გენერალურ ასამბლეაზე მიღებული პოლიტიკური პრინციპი „ერთი სახელმწიფო - ერთი ხმა“ მაინც ვერ ახერხებს სახელმწიფოთა შორის უთანასწორობის დაძლევას პოლიტიკურ, ეკონომიკურ, თუ სამხედრო საკითხებში. ამიტომ საჭიროა გარკვეული ქმედითი რეფორმების გატარება, რიგი სამართლებრივი ნორმების გადასინჯვა და ახლებურად გააზრება, რათა ამ ორგანიზაციამ სრულყოფილად შეძლოს იმ მისიის შესრულება, რომლისთვისაც შეიქმნა.[17]

2.3. **ევროკავშირის ჩართულობა კონფლიქტების პრევენციაში**

ევროკავშირის სუსტ მხარეებად სამხედრო თვალსაზრისით დუნკანი ვებსტერი და სვიტკი მიიჩნევენ, რომ ხშირ შემთხვევაში ევროკავშირი დაკავებულია

[17] https://www.eumm.eu/data/image_db_innova/EUMM%20Factsheet%20GEO%202017%20DEC.pdf

გაერთიანების წევრი სახელმწიფოების პრობლემების გადაწყვეტით და მათი ეროვნული ინტერესების დაკმაყოფილებით. ყველაზე მნიშვნელოვანი არის მათთვის ის, რომ ევროკავშირს აქვს პრობლემები კრიტიკულ ადგილებში საკუთარი თავდაცვითი პოლიტიკის გატარების. მაგალითისთვის ამ ავტორებს მოჰყავთ 1999 წლის კოსოვოს კრიზისი და 2003 წლის ერაყის ომი.

ექსპერტთა აზრი საერთაშორისო ორგანიზაციების როლზე კონფლიქტების რეგულირებაში ორად იყოფა. მათი ნაწილი თვლის, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებს დიდი გავლენა აქვთ კონფლიქტების დარეგულირებაში და მათი გადაწყვეტილებები ეფექტურად მოქმედებს. ხოლო მეორე ნაწილის აზრით, ამ ორგანიზაციებს აკლიათ ქმედითუნარიანობა და არც ისე ნაყოფიერ ნაბიჯებს დგამენ, უფრო მეტიც ზოგ შემთხვევაში კონფლიქტების ხანგრძლივობის გაზრდის პროვოცირებასაც ახდენენ.

1958 წელს ევროკავშირი ჩამოყალიბდა, როგორც სამოქალაქო კავშირი, რომლის ძირითადი პრიორიტეტი გახლდათ დასავლეთ ევროპის ეკონომიკური კავშირურთიერთობების განმტკიცება, ხოლო ამ ორგანიზაციის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა ნატო ამერიკის მიერ მიცემული გარანტიების საფუძველზე. აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი დუაიტ ეიზენჰაუერი მიესალმა დასავლეთ ევროპის ექვს სახელმწიფოს შორის რომის ხელშეკრულების ხელმოწერას. თუმცა 1990-იანი წლებიდან გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები საერთო საგარეო და თავდაცვის პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად. 1997 წელს ამსტერდამში დამტკიცდა ამ ორგანიზაციის უმაღლესი წარმომადგენლის თანამდებობაც, როგორც უკვე ავღნიშნეთ, 1998 წელს სენტ მალოში საფრანგეთის და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლები შეთანხმდნენ თავდაცვის საკითებში თანამშრომლობის თაობაზე. 1999 წლის ჰელსინკის საბჭოს შემდეგ ევროკავშირის

წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრებს შორის რეგულარულად ეწყობა შეხვედრები , ასევე ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ჩამოყალიბდა სამხედრო კომიტეტი და სამხედრო შტაბი. ევროკავშირმა ასევე დასახა ახალი პრიორიტეტი, სამშვიდობო ოპერაციებში ჩართვა. კერძოდ 2003-2004 წლებში ევროკავშირის მიერ ბოსნიასა და მაკედონიაში ჩატარებულ იქნა სამოქალაქო-პოლიციური და სამხედრო ოპერაციები, ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს პირველი ავტონომიური ოპერაცია ევროპის საზღვრებს გარეთ, აღმოსავლეთ კონგოში, სადაც 1800 ჯარისკაცი გაიგზავნა, ხოლო მოგვიანებით სუდანში-დარფურის პროვიცნიაში. 2003 წელს ევროკავშირმა მიიღო პირველი საერთო უსაფრთხოების კონცეფცია - უსაფრთხო ევროპა გაუმჯობესებულ მსოფლიოში.

თავდაცვის კავშირის ჩამოყალიბება ევროკავშირში ახალი იდეა არ ყოფილა, თუმცა მცდელობების მიუხედავად ცივი ომის განმავლობაში ასეთი კავშირის ჩამოყალიბება ვერ მოხერხდა ინტეგრაციის შედარებით დაბალი დონის და იმის გამო, რომ ევროპისთვის მეტად ძვირფასი იყო ამერიკის მიერ მიცემული გარანტიები.

ექსპერტებს ევროპის საერთო საგარეო და თავდაცვით პოლიტიკასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები გააჩნიათ. თუ ერთნი მიიჩნევენ, რომ ევროკავშირს გააჩნდა შესაბამისი პოტენციალი და ჰქონდა საკმარისი მიზეზი საკუთარი სამხედრო შენაერთის ჩამოყალიბებისაკენ, მეორენი ეჭვქვეშ აყენებენ ევროკავშირის საერთო საგარეო და თავდაცვის პოლიტიკის და სწრაფი რეაგირების ძალების ეფექტიანობას.

ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია, რომელიც უარს ამბობს ნატოს ფარგლებში ამერიკის სამხედრო ძალები რომელიმე ევროპელ სამხედრო მეთაურს დაუმორჩილოს და თავის მეთაურად მხოლოდ ამერიკელი გენერალი

წარმოუდგენიათ. ამავე დროს ამერიკელებს გააჩნიათ პრეტენზია, რომ ნატოს ქვეყნების ყველა სამხედრო ერთეული ამერიკელ გენერლებს ემორჩილებოდეს. ეს კი რა თქმა უნდა ქმნის მთელ რიგ წინააღმდეგობებს. ამ კონტექსტში ამერიკის წინადადებას ნატოს გლობალური სტაბილურობის დამცველის როლი მიანიჭოს-მათ შორის ბირთვული, ბიოლოგიური, ქიმიური იარაღის გაუვრცელებლობის მიზნით-ევროპაში ცივად შეხვდნენ.[18]

როგორც 90-იან წლებში ევროკავშირის ფარგლებში ჩატარებულმა რეფორმებმა ცხადყო, ამ ორგანიზაციამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა საკუთარი, ამერიკისგან დამოუკიდებელი, სამხედრო წარმოების შესაქმნელადაც. აშშ-ს ევროპელი მოკავშირეები სულ უფრო მეტად შეეცდებიან შექმნან განიარაღების საკუთარი ტიპები. ამის მაგალითად გამოდგება საერთო ევროპული გამანადგურებლის შექმნის გეგმა, რომლის შექმნაშიც მონაწილეობას იღებენ გერმანული და ბრიტანული ფირმები.

უშიშროება და უსაფრთხოება

21-ე საუკუნის ევროპის წინაშე კვლავ დგას უშიშროებისა და უსაფრთხოების საკითხები. ევროკავშირმა ქმედითი ზომები უნდა გაატაროს თავისი წევრი სახელმწიფოების უშიშროებისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. მან კონსტრუქციულად უნდა ითანამშრომლოს მისი საზღვრების მახლობლად მდებარე რეგიონებთან: ბალკანეთთან, ჩრდილოეთ აფრიკასთან, კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთთან. მან ასევე უნდა დაიცვას საკუთარი სამხედრო და სტრატეგიული ინტერესები თავის მოკავშირეებთან (განსაკუთრებით, ნატო-ს წევრებთან) თანამშრომლობით და ევროპის უშიშროებისა და თავდაცვის საერთო პოლიტიკის ჩამოყალიბებით.

[18] https://ec.europa.eu/regional_policy/sources/international/pdf/external_ka.pdf

შიდა და გარე უსაფრთხოება ერთი მედლის ორი მხარეა. ტერორიზმთან და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისათვის აუცილებელია, რომ ევროკავშირის ყველა ქვეყნის პოლიციის ძალებმა აქტიურად და მჭიდროდ ითანამშრომლონ. ევროკავშირის ქცევა სივრცედ, სადაც გამეფებული იქნება თავისუფლება, უსაფრთხოება და მართლმსაჯულება, სადაც ყველა ადამიანს თანაბრად შეეძლება მართლმსაჯულებით სარგებლობა და ყველას ერთნაირად დაიცავს კანონი, ახალი გამოწვევაა, რომელიც საჭიროებს მთავრობებს შორის მჭიდრო თანამშრომლობას. უფრო აქტიური და ქმედითი როლი უნდა ითამაშონ ისეთმა ორგანიზაციებმა, როგორებიც არის „ევროპოლი“, ევროპის პოლიციის სამსახური და „ევროჯასტი“, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომლობის ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყნის პროკურორებს, მოსამართლეებსა და პოლიციის ოფიცრებს შორის.

დღეისთის ევროკავშირის სამი საყრდენიდან ერთ-ერთი ევროპის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაა, რომლის ფარგლებშიც ევროკავშირის ქვეყნებმა საერთო თავდაცვის შემუშავებაზეც იზრუნეს და 2003 წლიდან თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში სხვადასხვა სამხედრო თუ სამოქალაქო ოპერაციების განხორციელება დაიწყეს.

დღესდღეობით კი ევროკავშირი გვევლინება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს აქტორად, რომლის მიმართაც საერთაშორისო საზოგადოების მოლოდინი დღითიდღე იზრდება.

1990 წლიდან მოყოლებული ევროკავშირი და საქართველოს ხელისუფლება ერთობლივად არიან ჩართულები იმ საკითხებში, რომლებიც ქვეყნის ორ სეპარატისტულ კონფლიქტს ეხება. თავდაპირველად ევროკავშირი ძირითადად ჰუმანიტარულ დახმარებაზე აკეთებდა აქცენტს, მაგალითად

ევროკომისიის ჰუმანიტარული დახმარების და სამოქალაქო დაცვის პროგრამის დაფინანსების დიდი ნაწილი საქართველოსთვის გამოიყო. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანი სურსათით დახმარების დიდი ნაწილი და ყველა განსაკუთრებული ჰუმანიტარული დახმარება 1992-1995 წლებში საქართველოსთვის გამოიყო. 1997 წლიდან მოყოლებული ევროკავშირმა კონფლიქტურ ზონებში სარეაბილიტაციო პროგრამების დაფინანსება დაიწყო. 1999 წელს ძალაში შევიდა პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება ევროკავშირსა და საქართველოს შორის. 2003 წელს საქართველო ჩაერთო ევროპული სამეზობლო პოლიტიკის განხორციელებაში, ეს იყო კიდევ ერთი მიზეზი იმისა რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო მყარი გამხდარიყო. ამ პერიოდიდან მოყოლებული ევროკავშირის ერთ-ერთი მთავარი მიზანია წვლილი შეიტანოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარებაში.[19]

ევროკავშირის მიერ პირველი მნიშვნელოვანი გადადგმული ნაბიჯი საქართველოში კონფლიქტების მოგვარების კუთხით, კონფლიქტურ ზონებში 2008 წლის აგვისტოს ომამდეც ევროკავშირის დახმარება სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში კონფლიქტით დაზარალებულ პირების მიმართ საკმაოდ სერიოზული იყო. დახმარება ვრცელდებოდა როგორც რეგიონში დაბრუნებულ, ასევე ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ პირებზე. 2008 წლის ომმა და აგვისტოს მოვლენებმა ამ რეგიონებიდან დევნილთა ახალი ტალღა წარმოქმნა, რამაც რასაკვირველია კიდევ უფრო გაზარდა ევროკავშირის შემდგომი ჩართულობა კონფლიქტით დაზარალებულ პირთა დახმარების კუთხით. 2008 წლის 22 ოქტომბერს ბრიუსელში გაიმართა დონორების კონფერენცია, რომელიც საქართველოს ეხებოდა, აღნიშნულ კონფერენციაზე ევროკავშირი მოითხოვდა 500 მილიონ ევროს

https://eumm.eu/ge/eu_in_georgia/what_is_eu_foreign_policy

სხვადასხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად, მათ შორის იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბინავების, ეკონომიკური რეაბილიტაციის, აღდგენითი პროექტების, მაკროფინანსური სტაბილიზაციის და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების კუთხით.

საქართველოში ევროკავშირის მიერ კონფლიქტით დაზარალებულ პირთა დახმარება ძირითადად საქართველოს მთავრობის და საერთაშორისო ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერით ხორციელდებოდა. ამჯამად, აფხაზეთის რეგიონში ევროკავშირი კვლავ ერთ-ერთი უმსხვილესი დონორია. პროექტები ძირითადად განათლებაზე, ნდობის აღდგენაზე. ჯანდაცვასა და საარსებო წყაროების მოპოვებაზეა გათვლილი. 2008 წლის აგვისტოს შემდეგ სამხრეთ ოსეთში მსგავსი პროექტები აღარ ხორციელდება, იმ პოლიტიკური წინაპირობების გამო, რომლებიც სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ წამოაყენა.

ევროკავშირი ჩართულია უსაფრთხოების სექტორის მთელ რიგ სფეროებში. ეს მოიცავს პოლიციურ და სამხედრო ოპერაციებს, კანონის უზენაესობის განმტკიცებას, სასამართლო და სასჯელაღსრულების სისტემების გაუმჯობესებას. თავდაპირველად, ეს აქტივობები არ უკავშირდებოდა უსაფრთხოების სექტორის რეფორმის კონკრეტულ პოლიტიკას. 2003 წელს ევროკავშირმა მიიღო პირველი ევროპული უსაფრთხოების სტრატეგია. 2005 წელს ევროპის საბჭომ მიიღო კონცეფცია ევროპის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის მიერ უსაფრთხოების სექტორის რეფორმის მხარდაჭერის შესახებ. 2006 წელს ევროკომისიამ მიიღო კონცეფცია ევროპული თანამეგობრობის მიერ უსაფრთხოების სექტორის რეფორმის მხარდაჭერის შესახებ.

ეს დოკომენტები გამოხატავს ევროკავშირის კონცეპტუალურ დამოკიდებულებას უსაფრთხოების სექტორის რეფორმისადმი. 2016 წელს ევროკომისიამ გამოაქვეყნა ერთობლივი მიმართვა ევროპარლამენტის და საბჭოსადმი- ევროკავშირის უსაფრთხოების სექტორის რეფორმის მხარდაჭერის სტრატეგიული ჩარჩოს ელემენტები.

ევროკავშირი უსაფრთხოების სექტორის რეფორმის აქტივობებს ატარებს სამ ერთმანეთთან დაკავშირებულ დონეზე: თანამეგობრობის დონეზე, წევრი ქვეყნების დონეზე და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. პირველ დონეზე საქმიანობას ძირითადად ახორციელებს საბჭო და კომისია. კომისიის საქმიანობა ძირითადად სამოქალაქო ხასიათისაა, ხოლო საბჭო ახორციელებს სამოქალაქო, სამხედრო და შერეულ საქმიანობას. წევრი ქვეყნების დონეზე, ევროკავშირის წევრი ქვეყნები ზემოქმედებენ ევროკავშირის დღის წესრიგზე და პოლიტიკაზე უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სფეროში და ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას მესამე ქვეყნებში. ევროკავშირი, როგორც ორგანიზაცია, ფართოდ არის წარმოდგენილი უსაფრთხოების სექტორის არენაზე, რომელსაც ქმნიან საერთაშორისო ორგანიზაციები. ამასთან, წევრი ქვეყნები მონაწილეობენ წევრობის საფუძველზე ან თავიანთი ინიციატივით უსაფრთხოების სექტორის რეფორმასთან დაკავშირებულ მრავალ ინიციატივაში, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ხორციელდება.

თავი III. საერთაშორისო ორგანიზაციების როლი საერთაშორისო არენაზე კონფლიქტების დარეგულირებაში

თანამედროვე მსოფლიოში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია საერთაშორისო ორგანიზაციათა რაოდენობისა და აქტიურობის მკვეთრი ზრდა. საერთაშორისო ორგანიზაციები წარმოადგენენ საერთაშორისო ცხოვრების მოწესრიგების ყველაზე განვითარებულ და მრავალმხრივ მექანიზმებს. ესაა ორგანიზაცია, რომელსაც გააჩნია პროცედურებისა და წევრობის დადგენილი ფორმალური წესები და რომელშიც წარმოდგენილია მინიმუმ სამი ქვეყანა. საინტერესოა ბრუს რასეტისა და ჯონ ონეალის შემოთავაზებული საერთაშორისო ორგანიზაციების დეფინიცია: „ საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციები ფორმალური დროში განგრძობითი ინსტიტუტია, რომელიც დაფუძნებულია საერთაშორისო ხელშეკრულების ან სხვა შეთანხმების საფუძველზე სახელმწიფოებს შორის, ბუნებით ის გრძელვადიანია, მრავალმხრივი სამდივნოთი და ასე თუ ისე რეგულარული შეხვედრებით“[20]. ბუნებრივია საერთაშორისო ორგანიზაციების როლმა კონფლიქტების დარეგულირებაში გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა ექსპერტებს, აკადემიკოსებსა და პოლიტოლოგებს შორის. ამ საკითხთან დაკავშირებით, აზრი ძირითადად ორად გაიყო: ისეთი ავტორები, როგორებიცაა დევისი, დარსანი, ვულფი, ბუმენი და ა.შ. ფიქრობენ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები აქტიურად ფუნქციონირებენ

[20] პასკალ ფონტენი ‘’ 12 გაკვეთილი ევროპის შესახებ’’

საერთაშორისო ასპარეზზე კონფლიქტების რეგულირებაში, ხოლო შენონის, მურის, [21]ბოეჰმკეს, მადელბაუმის და სხვათა აზრით, საერთაშორისო ორგანიზაციების ქმედებები არც ისე ეფექტურია და სულაც არ იძლევა უსაფრთხოების გარანტიას.

ამ თემასთან დაკავშირებით, უნდა ვახსენოთ ერთა ლიგა[22], პირველი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ საერთაშორისო მშვიდობის უზრუნველყოფას. ერთა ლიგის შექმნის აუცილებლობა საკმაოდ კარგად არის აღწერილი დევისის წიგნში. ომის შემდეგ უამრავი ადამიანის სიკვდილმა და ეკონომიკურმა ზარალმა განაპირობა ისეთი ორგანიზაციების შექმნა, რომელიც უზრუნვეყოფდა სამომავლო მშვიდობას. მაგრამ რეალურად ერთა ლიგის დაარსებამ და ფუნქციონირებამ მხოლოდ და მხოლოდ გაამყარა დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის ჰეგემონობა ევროპაში. სწორედ ერთა ლიგის სუსტ მხარეებზე გვესაუბრება ნორთეიჯი თავის ნაშრომში. მისი აზრით, ერთა ლიგას არ ქონდა საკმარისი რესურსი კონფლიქტების რეგულირებისთვის, ამიტომ აუცილებელი იყო სხვა, უფრო ძლიერი ორგანიზაციის ჩამოყალიბება. მისი ერთ-ერთი სუსტი მხარე იყო არაერთსულოვნება; სახელმწიფოები მოქმედებდნენ არა საერთაშორისო კეთილდღეობისთვის, არამედ საკუთარი ინტერესების უზრუნველსაყოფად.

მნიშვნელოვანია, რომ თანამედროვე მსოფლიოში აღინიშნება საერთაშორისო ორგანიზაციების რაოდენობა და აქტიურობის მკვეთრი ზრდა. სწორედ ამ ორგანიზაციების ზრდის ტენდენციას განიხილავენ ვულფი და დარსანი თავიანთ სტატიაში. მათი აზრით, საერთაშორისო ორგანიზაციები გახდნენ უფრო აქტიურად ჩართულები კონფლიქტების მენეჯმენტსა და პრევენციაში. უფრო მეტიც, თანამედროვე საზოგადოებაში არის მზარდი მოთხოვნა მათ ჩართულობასთან

[22] გოჩა საითიძე- პირველი უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაცია ერთა ლიგა და დამოუკიდებელი საქართველო 1919-21 წ.წ. „უნივერსალი“ თბილისი 2010, გვ 27.

დაკავშირებით. ავტორები აანალიზებენ საერთაშორისო ორგანიზაციების გავლენას კონფლიქტების რეგულაციებში და კატეგორიებად ყოფენ რეგიონალურ და საერთაშორისო კონფლიქტებს მოგვარების სტრატეგიების. ისინი გვთავაზობენ ერთგვარ მაკროსქემას, კონფლიქტების დარეგულირების საშუალებას, რომელიც განსხვავებულად მოქმედებს საერთაშორისო და რეგიონალური კონფლიქტების შემთხვევაში.

საინტერესო ინფორმაციის შემცველია ჩარლზ ბუმენის სტატია, რომელშიც განხილულია როგორც საერთაშორისო სამთავრობო, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების როლი საერთაშორისო სისტემაში. ავტორი ორგანიზაციების დიფერენციაციას ახდენს მათი ფუნქციებისა და გავლენის სფეროების მიხედვით. ავტორი, ერთი მხრივ, წარმოგვიდგენს საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთა ჩარჩოებში ხორციელდება წევრ-სახელმწიფოთა ურთიერთქმედება და მათი ფუნქციონირება დაფუძნებულია საერთო გადაწყვეტილებებზე. ასეთ ორგანიზაციების მაგალითად მოჰყავს ნატო და ევროკავშირი. მათ შეუძლიათ შეცვალონ აქტორთა ქმედებები და მიაღწიონ შეთანხმებას კონფლიქტის შემთხვევაში. მეორე მხრივ კი გვთავაზობს არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც იქმნება ფიზიკური ან იურიდიული პირების გაერთიანების გზით. მათი მოღვაწეობა ხორციელდება სახელმწიფოთა ოფიციალური საგარეო პოლიტიკის ჩარჩოებს გარეთ.

დღეისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ორგანიზაციაა ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია, რომელიც როგორც სამხედრო კავშირი, უპირობოდ ყველაზე განვითარებულ და სრულყოფილ სტრუქტურას წარმოადგენს. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია დიუკის, აგნერის და თრულსენის ნაშრომები. ისინი განიხილავენ ნატოს ფუნქციონირებას და მისი

მოღვაწეობის შედეგებს. NATO თავის კომპლექსურ ისტორიაში არაერთ წარმატებულ ოპერაციას და მისიას მოიცავს. საინტერესოა აგნერის სტატია, რომელშიც განხილულია ნატოს მოღვაწეობა ცივი ომის განმავლობაში და მის შემდგომ პერიოდში. ცივი ომის განმავლობაში იგი ეფექტურად ოპერირებდა ჩრდილოეთ ამერიკის არეალში და თავდაცვით როლს ასრულებდა, მიუხედავად იმისა, რომ ამავდროულად იგი უამრავ სხვა პრობლემას აწყდებოდა ევროპის ქვეყნებთან და საბჭოთა კავშირთან. ცივი ომის დასრულებასთან ერთად ფართომასშტაბიანი შეჯახების საფრთხე ფაქტობრივად მოიხსნა. გარკვეულწილად სამხედრო ალიანსის არსებობამ მიზანიც კი დაკარგა. ამ პერიოდში წინ წამოიწია ადაპტირების პრობლემამ და იმ კონფლიქტურ საკითხებში ნატოს როლის განსაზღვრამ, რომლებიც პოსტკონფრონტაციულ პერიოდს ახასიათებს. შესაბამისად, შემუშავდა ნატოს სტრატეგიების ახალი კონცეფციები. ისეთი ავტორები როგორებიც არიანმოლერი და დიუკი ნატოს აქტიურ როლს ხედავენ კონფლიქტების მოგვარებაში მსოფლიოს მასშტაბით და განიხილავენ მათ მიერ ჩატარებულ სამშვიდობო ოპერაციებს. 1989 წლიდან ნატო მონაწილეობას იღებდა ბალკანეთის კრიზისის დარეგულირებაში, კონფლიქტის მართვაში ცივი ომის შემდგომ პერიოდში და აქტიურად იბრძოდა ტერორიზმის წინააღმდეგაც. თავისი არსებობის მანძილზე, ნატო აწარმოებს ბევრ ოპერაციას ხმელთაშუა ზღვის არეალში, ჩრდილოეთ ამერიკაში, ცენტრალურ აზიაში, აფრიკასა და ბალკანეთში. ის მნიშვნელოვან როლს თამაშობს კრიზისის მართვაში, მშვიდობის დამყარებასა და სამართლებრივ ოპერაციებში. ასევე აქტიურად თანამშრომლობს სამხედრო ტიპის ოპერაციებში გაეროსთან, ევროკავშირთან და დასავლეთის ევროპულ გაერთიანებასთან ერთად. ასევე მნიშვნელოვანია ნატოს როლი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ მხრივ ის რესურსებს არ იშურებს და ამის ნათელი

მაგალითია OAE, ნატოს მიერ წარმოებული ოპერაციაა ხმელთაშუა ზღვაში ტერორიზმის გამოსავლენად და აღსაკვეთად, რომელიც მიმდინარეობს გაერთიანებული ძალებით[23].

რაც შეეხება გაეროს, მას არამხოლოდ ცენტრალური ადგილი უკავია სახელმწიფოთა შორის ორგანიზაციების სისტემაში, არამედ ასრულებს განსაკუთრებულ როლს თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკურ განვითარებაში. 1945 წელს შექმნილი უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციის მიზანია მშვიდობისა და საერთაშორისო უსაფრთხოების გარანტიების შექმნის ხელშეწყობა და სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის განვითარება. განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა გაეროს ძალისხმევამ მშვიდობის მხარდაჭერის საქმეში. გაერო ყველაზე დიდ სამხედრო და ეკონომიკურ რესურსს ხარჯავს კონფლიქტების დარეგულირებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ გაერო შეიქმნა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ჰუმანიტარული საერთაშორისო პრობლემების გადასაწყვეტად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, იგი ორიენტირებულია მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებაზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანია გიუის სტატია, რომელიც სტატისტიკურ ინფორმაციას გვაწვდის გაეროს სამშვიდობო ოპერაციების შესახებ. 1988წლიდან 33 სამშვიდობო აქცია განხორციელდა, 1995 წელს კი გაეროს სამშვიდობო ოპერაციაში ჩართულმა პერსონალის რიცხვმა 70000 მიაღწია 70-ზე მეტი ქვეყნიდან. ამავდროულად, უსაფრთხოების საბჭო იყენებდა ისეთ ინსტრუმენტებს , როგორიცაა სანქციები და იძულებითი განიარაღება. მეგან შენონი ხაზს უსვამს გაეროს როლს კონფლიქტების ხანგრძლივობის შემცირებაში და იმოწმებს ემპირიული ანალიზს: 1998-2000 წლის კონფლიქტი ეთიოპიასა და ერიტრიას შორის რომელშიც მრავალი საერთაშორისო

[23] http://old.infocenter.gov.ge/nato-structure/

ორგანიზაცია ჩაერთო მათ შორის გაერთიანებული ერები OAU, მათი მიზანი იყო კონფლიქტის მოგვარება და ცეცხლის შეწყვეტა ამ ორ მხარეს შორის. OAU ასევე ასრულებდა შუამავლის როლს. საომარი მოქმედებები საბოლოოდ შეწყდა მას შემდეგ რაც გაეროს მშვიდობისყოფელთა მისია იქნა ჩართული.

დღეისათვის საერთაშორისო არენაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტორია ევროკავშირი. ევროკავშირი არის უნიკალური ფენომენი მსოფლიოს ისტორიაში, განსაკუთრებით იმიტომ, რომ იგი აერთიანებს სახელმწიფოებს, რომელთაც მთელი ისტორიის განმავლობაში ჰქონდათ გამალებული ბრძოლა. მაგრამ საინტერესოა, რამ გამოიწვია ამ სახელმწიფოების მშვიდობიანი თანაარსებობა. ამასთან დაკავშირებიტ, მნიშვნელოვანია შენონის ნაშრომი. ავტორი მიიჩნევს, რომ ამის მიზეზი არის ევროკავშირის დემოკრატიულობა და მყარი ინსტიტუციონალიზმი. ევროკავშირი 27 დემოკრატიული სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანებაა, რომელიც მიზნად ისახავს მშვიდობის, სამართლიანობის, კეთილღეობისა და თავისუფლების უზრუნველყოფას სამყაროში. მისი პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებია: ადამიანის უფლებები, ჰუმანიტარული დახმარება, ენერგორესურსები, გაფართოება, კლიმატი, რეგიონები, კრიზისის მენეჯმენტი და ვაჭრობა. კონფლიქტის შემთხვევაში , ევროკავშირს შეუძლია რეაგირება მოახდინოს პოლიტიკურად, დიპლომატიურად, ეკონომიკურად, ფინანსურად, სამხედრო, იურიდიულად თუ განმავითარებელი დახმარების საშუალებით. მიდგომის ავტორიზება დამოკიდებულია კრიზისის შესახებ არსებულ საერთაშორისო შეხედულებებზე . ევროკავშირის სამშიდობო ძალები გადასროლილ იქნა ჩრდილოეთ და შუა აფრიკაში ასევე დასავლეთ ბალკანებზე და დასავლეთ აზიაში, მაგრამ იგი მაინც არ ითვლება ისეთ ძლიერ სამხედრო ალიანსად როგორიცაა ნატო.

როცა მე ველი საერთაშორისო ორგანიზაციებისგან კონფლიქტების ხანგრძლივობისა და წარმოშობის შემცირებას რეგანს მიაჩნია, რომ მათი ჩართულობა, პირიქით უფრო ახანგრძლივებს კონფლიქტებს იმ შემთხვევაში თუკი ისინი ნაადრევად ჩაებმევიან უთანხმოებაში მაშინ როცა ერთ მხარეს აქვს საგრძნობი უპირატესობა. ერთ-ერთი მაგალითი იმისა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარევამ გაამძაფრა კონფლიქტის მიმდინარეობა არის NATO-ს ომი იუგოსლავიის წინააღმდეგ 1998-1999 წლებში. ეს იყო დიდი შეცდომებით და ჩავარდნებით სავსე ოპერაცია. რადგანაც ალიანსის ოპერაცია კოსოვოში ჩატარდა გაეროს წესდების დარღვევით არც ერთ რეგიონალურ საერთაშორისო ორგანიზაციას არა აქვს უფლება, გამოიყენოს ძალა გაეროს უშიშროების საბჭოს ნებართვის გარეშე, ამსათანავე , ალიანსის შეიარაღებულმა ძალებმა შეცდომით დაბომბეს ჩინეთის საელჩო, რასაც შეეწირა უდანაშაულო ადამიანთა სიცოცხლე და გამოიწვია ჩინეთის დაპირისპირებაც. ამ ომმა და გაეროს, ნატოსა და ეუთოს მონაწილეობით ჩატარებულმა ოპერაციებმა ვერანაირი შედეგი ვერ მოიტანა, პირიქით გაიზარდა მსხვერპლის რიცხვი და აგრესია იუგოსლავიის მხრიდან. მისი როლის ნაშრომში კი ყურადღება გამახვილებულია ნატო-ს არაეფექტურობაზე ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. მკვლევარი კითხულობს თუ სად იყო ნატო, გაერო, ევროკავშირი და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, როდესაც ტერორისტებმა დაბომბეს ტყპები ნიუ-იორკში 2001 წელს, ლონდონის მეტრო 2005 წელს, მატარებელი მადრიდში 2004 წელს და 2005 წელს ტოკიოს მეტროში განხორციელებული ტერაქტი[24].

როგორც ვხედავტ, ექსპერტთა აზრი საერთაშორისო ორგანიზაციების როლზე კონფლიქტების რეგულირებაში ორად იყოფა. მათი ნაწილი თვლის, რომ

[24] პიერ დე სენარკლენი იოან არიფენი, საერთაშორისო პოლიტიკა თანამედროვე თეორიები და ამოცანები, მეხუთე გამოცემა. თბილისი 2014 :

საერთაშორისო ორგანიზაციებს დიდი გავლენა აქვთ კონფლიქტების დარეგულირებაში და მათი გადაწყვეტილებები ეფექტურად მოქმედებს. ხოლო მეორე ნაწილი თვლის, რომ ამ ორგანიზაციებს აკლიათ ქმედითუნარიანობა და არც ისე ნაყოფიერ ნაბიჯებს დგამენ, უფრო მეტიც ზოგ შემთხვევაში კონფლიქტების ხანგრძლივობის გაზრდის პროვოცირებასაც ახდენენ.

საერთშორისო ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ უსაფრთხოების სექტორის მართვასა და რეფორმაში. ეს ორგანიზაციები უზრუნვეყოფენ ექსპერტიზას და რჩევებს, ცოდნის ამაღლებას უსაფრთხოების საკითხებზე; ტრენინგებს ფინანსური შესაძლებლობების გაძლიერების საკითხებზე; პროგრამებს და პროექტებს ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, როგორიცაა ტექნიკური უნარების ამაღლება, უსაფრთხოების სექტორის მართვა, ზედამხედველობა, კეთილსინდისიერების განმტკიცება. საერთაშორისო ორგანიზაციები გადამწყვეტ როლს ასრულებენ ნორმების და სტანდარტების დადგენაში, ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფაში და კანონის უზენაესობის მხაერდაჭერაში. ეს ორგანიზაციები წარმოადგენენ საკომუნიკაციო არხს მთავრობებს და საზოგადოებებს შორის და სხვა საერთაშორისო სუბიექტებს შორის, რომლებიც ჩართული არიან უსაფრთხოების სექტორის მართვასა და რეფორმაში.

საერთაშორისო ორგანიზაციები გააქტიურდნენ უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სფეროში 90-იან წლებში, როდესაც აშკარა გახდა, რომ განვითარებაზე მიმართული ძალისხმევა, განსაკუთრებით კონფლიქტურ და პოსტკონფლიქტურ კონტექსტში, არ შეიძლებოდა წარმატებული ყოფილიყო დაბალი უსაფრთხოების გარემოში. უსაფრთხოების მართვა ამ პერიოდიდან გახდა ინსტიტუციური მშენებლობის, მმართველობის, განვითარების და რეკონსტრუქციის პროექტების განუყოფელი ნაწილი. ამასთან, უსაფრთხოების სექტორის დემოკრატიული

ზედამხედველობა აუცილებელი პირობა გახდა ისეთ ინსტიტუტებთან პარტნიორობისა და წევრობისთვის, როგორიცაა ნატო და ევროსაბჭო.

ამ წლებიდან მოყოლებული, საერთაშორისო ორგანიზაციები აქტიურად არიან ჩართული უსაფრთხოების რეფორმასთან დაკავშირებულ საქმიანობასა და პროექტებში, განსაკუთრებით კონფლიქტურ და პოსტკონფლიქტურ ქვეყნებში, სადაც ორგანიზაციებს შორის არსებობს კონკურენცია დონორების და რესურსების მოსაპოვებლად.

ამ სფეროში ინტეგრაციის ფრთხილი და ნელი ტემპები შეიძლება ორი გარემოებით ავხსნათ, საგარეო პოლიტიკა და თავდაცვა, ეს ორივე პირდაპირ კავშირშია ტრადიციული გაგებით ქვეყნის სუვერენიტეტთან და ასევე ქვეყნის ინტერესებთან. შესაბამისად ევროკავშირში გაერთიანებულ სახელმწიფოებს ყოველთვის უჭირდათ საგარეო და უსაფრთხოების და განსაკუთრებით კი თავდაცვის სფეროში საერთო პოზიციის შემუშავება, რომ არაფერი ვთქვათ ამ პოზიციის განხორციელებაზე.

დასკვნა

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოებთან ერთად უმბიშვნელოვანეს აქტორებს წარმოადგენენ საერთაშორისო ორგანიზაციები და ტრანნაციონალური კორპორაციები. ჩემს ნაშრომში სწორედ მეორე აქტორზე ანუ საერთაშორისო ორგანიზაციების როლზე მქონდა საუბარი. მშვიდობისა და საერთაშორისო მშვიდობა და უსაფრთხოების დაცვა არის მთავარი მიზანი რითაც უნდა იხელმძღვანელოს ყველა საერთაშორისო ორგანიზაციამ, ნაშრომში მე ამ ორგანიზაციების მნიშვნელობაზე მქონდა საუბარი, იმაზე რომ თანამედროვე მსოფლიოში მათი როლი დიდია, რადგან ისინი სწორედ დიდი პრობლემების გადასაჭრელად არსებობენ.

ნაშრომში ფართოდ მიმოვიხილეთ ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია, რომელიც საერთაშორისო რეგიონალურ ორგანიზაციას წარმოადგენს. შევთანხმდით, რომ ნატო რეგიონში და არა მარტო რეგიონში წარმოადგენს ერთ-ერთ წარმატებულ პოლიტიკურ სამხედრო ორგანიზაციას, რომელიც უზრუნველყოფს მშვიდობასა და უსაფრთხოებას ჩრდილო ამერიკა და ევროპაში. ასევე ნატო-ს დიდი წვლილი შეაქვს საერთაშორისო მისიებით მსოფლიო მშვიდობის დასამყარებლად.

ამ ნაშრომში განხილული საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნისა და განვითარების პროცესმა აჩვენა ამ ორგანიზაციების ურთიერთგადამკვეთი სისტემა, რომელსაც გააჩნია განვითარების საკუთარი ლოგიკა და ამავე დროს ასახავს საერთაშორისო ურთიერთობების წინააღმდეგობას და ურთიერთდამოკიდებულებას.

დღეს საერთაშორისო ურთიერთობები დიდ მნიშვნელობას იძენენ, როგორც სახელმწიფოთა ინტერესების უზრუნველსაყოფად, ასევე რეალიზაციისთვის. ისინი ხელსაყრელ პირობებს ქმნიან მომავალი თაობისთვის. ორგანიზაციების ფუნქციები ყოველდღე აქტიურად ვითარდება და მოიცავს მსოფლიო საზოგადოების უფრო დიდ სპექტრს, მაგრამ ამასთან საერთაშორისო ორგანიზაციების ფართო სისტემის არსებობა ასახავს საერთაშორისო ურთიერთობების სირთულეს, წინააღმდეგობებს და ურთიერთკავშირს. ზოგადად ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, რადგან ორგანიზაციების კლასიფიკაცია მრავალფეროვანია და განსხვავებული, შესაბამისად სირთულებიც ბუნებრივია.

ამ ნაშრომში წარმოდგენილია საერთაშორისო ორგანიზაციების მნიშვნელობა და მათი როლი მისიებში, თანამედროვე მსოფლიოში ძირითადი საერთაშორისო ფაქტორების მქონეა საერთაშორისო ორგანიზაციაები.რომლებიც

ავითარებს შემდგომ საერთაშორისო ურთერთობებს, ისინი მონაწილეობას იღებენ კაცობრიობის წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტაში,აქტიურად მონაწილეობენ პროცესების განხორციელებასა და თანამედროვე ცხოვრების განვიტარებაში.როდესაც ხდები წევრი და ნაწილი საერთაშორისო სისტემის გადავისებული უნდა ქონდეს ველა ქვეანას და მხარეს,რომ მათი უსაფრთხოების დაცვა ,მათი კეთილდღეობა მხოლოდ ერთი მიმართულებით ხედვას არ ნიშნავს,არის მთელი რიგი ფაქტორები,რომელიც გათავისებული უნდა ქონდეს ყველა მონაწილეს.

90-იანი წლებიდან მოყოლებული აშკარა გახდა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები აქტიურად არიან ჩართულები უსაფრთხოების რეფორმასთან დაკავშირებულ საქმიანობასა და პროექტებში, განსაკუთრებით კონფლიქტურ და პოსტკონფლიქტურ ქვეყნებში.

ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, უსაფრთხოების, სტაბილურობისა და განვითარების სრულად უზრუნველყოფა, ურთიერთდამოკიდებულ სამყაროში მხოლოდ მჭიდრო თანამშრომლობით არის შესაძლებელი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ხათუნა ბურკაძე, ‘ძალის გამოყენების სამართლებრივი ასპექტები საერთაშორისო სამართალში’ (2010) N2.
2. სერგი კაპანაძე თბ. 2006 – ‘ევროკავშირის პოლიტიკა
3. პასკალ ფონტენი ‘’ 12 გაკვეთილი ევროპის შესახებ’’

4. ნ.ჩიტაძე ნატო ჩრდილოატლანტიური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთოების მთავარი გარანტი.
5. პიერ დე სენარკლენი იოან არიფენი,საერთაშორისო პოლიტიკა თანამედროვე თეორიები და ამოცანები,მეხუთე გამოცემა. თბილისი 2014 :
6. ი. ქარუმიძე, საერთაშორისო ორგანიზაციები, თბ., 1999
7. . ფონტენი პ. ევროპის გაერთიანების ახალი იდეა, შუმანის დეკლარაცია 1950-2000. თბ., 2008
8. კაპუსტინ ა. ევროკავშირი: ინტეგრაცია და სამართალი. - მ., 2000 წ.
9. Shibaeva E.A. საერთაშორისო ორგანიზაციების კანონი. - მ., 1986 წ.
10. გოჩა საითიძე- პირველი უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაცია ერთა ლიგა და დამოუკიდებელი საქართველო 1919-21 წ.წ. „უნივერსალი“ თბილისი 2010;
11. ლევან ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, 2013.
12. https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/MultilateralRelations/BSEC.aspx
13. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=6062
14. https://eumm.eu/ge/eu_in_georgia/what_is_eu_foreign_policy
15. http://old.infocenter.gov.ge/nato-structure/
16. https://www.myadvokat.ge/ka/blog/8286/saertashoriso-organizaciebis-roli-msoflioshi
17. http://www.economists.ge/storage/uploads/publication/141230120627518f.pdf